

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ყოველკვარტალური გამოცემა

QUARTERLY PUBLICATION

ЕЖЕКАРТАЛЬНОЕ ИЗДАНИЕ

ISSN 1512-0996

Certificate  
ICI Journals master List



მუშაობი  
WORKS  
ТРУДЫ

N2(508)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2018

გაანსებულია 1924 წელს.  
პერიოდულობა - 4 ნომერი წელიწადში.

საქართველოს ცენტრული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული ანის ყოველკვართვალური მულტიდისციპლინური ნეფერირებადი პერიოდული გამოცემა, რომელიც რეგისტრირებულია საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - Index Copernicus International.

ყველა უფლება დაცულია. ამ კრებულში გამოქვეყნებული ნებისმიერი სცადის (ცექსცი, ფოტო, იღუსცნაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემის წერილობითი ნებისმიერი ნებანთვის განეშვა.

საავტორო უფლებების დანდგენა იხსება კანონით.

ავტორი (ავტორები) პასუხისმგებელია სცადის შინააძლებელი და საავტორო უფლებებისა და სამეცნიერო ეთიკის საყოველთაოდ მიღებული სხვა ნორმების დაცვაზე.

სცადის ავტორის (ავტორების) პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემო მიღებული სახლის პოზიციას.

საგამომცემო სახლი ცენტრული უნივერსიტეტი "გურინდფერი მაღისებრი მიიღებს ყველა კონსტრუქციულ შენიშვნას, ნინაღავებას და გამოიყენებს საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

მოგვწერეთ:

sagamomcemlosakhli@yahoo.com

© საგამომცემო სახლი ცენტრული უნივერსიტეტი, 2018

ISSN 1512-0996



9 771512 099004

## მთამარი რედაქტორი

ა. ფრანგიშვილი

## მთამარი რედაქტორის მოადგილებები:

გ. კლიმიაშვილი

ბ. გასიცაშვილი

## სარედაქტო პრლეგი:

ა. აბრამავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბმილავა,

თ. ამბროლაძე, ე. ბარათაშვილი, თ. ბატიკაძე,

ჯ. ბერიძე, ს. ბიერებვი (პოლონეთი),

პ. ბიერივი (სოვეკეთი), თ. გაბადაძე,

ჯ. გახოვაძე, თ. გეგაშვილი, ა. გიგინეიშვილი,

ბ. გობში (გერმანია), ა. გრიგორიშვილი,

ე. ელიბბარაშვილი, ს. ესაძე, ვ. ვარდოსანიძე,

უ. ბვიაძაძე, თ. ბუმბურიძე, პ. ბუნკელი (ავსტრია),

გ. თავხელიძე, პ. თოღუა (რუსეთი), ი. კვეხეგავა,

ტ. კვიჭიანი, ა. კვევალივი (ესტონეთი), ბ. კიკნაძე,

თ. კომინაძე, ი. კომიძე, ა. მამადიშვილი (საბერძნეთი), მ. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, მ. მესხი,

ა. მონონეგიძე, გ. მძინარიშვილი, გ. ნაციონალიშვილი,

ნ. ნაცვლიშვილი, შ. ნემსაძე, გ. ნობაძე,

გ. საღაქვაძე, ქ. ქოქნაშვილი, ე. ქუთევას,

ა. მარკაშიძე, ს. შმიდტი (გერმანია),

პ. შედოერი (გერმანია), მ. ჩხეიძე,

ბ. წვერიძე, თ. ჯაგობნიშვილი, თ. ჯიშანიანი.



Verba volant,  
scripta manent

Founded in 1924.  
Published in quarterly editions.

Collection of Academic Works of Georgian Technical University is a multidisciplinary quarterly refereed periodical included in Index Copernicus International.

All rights reserved. No material appearing in this publication (texts, images, illustrations and other visual) can in any form or by any means (electronic or manual) be used by other parties without prior written consent of the publisher.

Infringement of copyright is punishable by law.

Author (authors) is (are) responsible for content of the article as well as protection of copyright and compliance with generally accepted norms of academic ethics.

Judgements of the author (authors) and the publishing house may vary.

Publishing House “Technical University” is open to constructive feedback and ideas for the purpose of continuous improvement.

Contact us:  
[sagamomcemlosakhli@yahoo.com](mailto:sagamomcemlosakhli@yahoo.com)

Editor in Chief  
A. Prangishvili

Deputy Editors in Chief  
L. Klimiashvili  
Z. Gasitashvili

Editorial Board:  
A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava,  
T. Ambroladze, E. Baratashvili, T. Batsikadze, J. Beridze,  
S. Bielecki (Poland), P. Bielik (Slovakia), M. Chkheidze,  
E. Elizbarashvili, S. Esadze, T. Gabadadze,  
J. Gakhokidze, O. Gelashvili, A. Gigineishvili,  
G. Gobsch (Germany), Al. Grigolishvili, T. Jagodnishvili,  
T. Jishkariani, A. Keevalik (Estonia), Z. Kiknadze,  
K. Kokrashvili, E. Kutelia, I. Kveselava, T. Kvitsiani,  
T. Lominadze, I. Lomidze, A.G. Mamalis (Greece),  
M. Matsaberidze, L. Mdzinashvili, T. Megrelidze,  
M. Meskhi, A. Motzonelidze, D. Natroshvili,  
N. Natsvlishvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze,  
G. Salukvadze, H. Stroher (Germany), H. Sunkel  
(Austria), S.M. Schmidt (Germany), A. Sharvashidze,  
D. Tavkhelidze, P. Todua (Russia), Z. Tsveraidze,  
Vl. Vardosanidze, O. Zumburidze, U. Zviadadze.

© Publishing House “Technical University”, 2018

ISSN 1512-0996



9 771512 099004



Учрежден в 1924 году.  
Периодичность – 4 номера в год

Сборник научных трудов Грузинского технического университета является ежеквартальным мультидисциплинарным реферируемым периодическим изданием, которое зарегистрировано в международной базе электронных данных - Index Copernicus International.

Защищены все права. Любую опубликованную в данном сборнике статью (текст, фото, иллюстрации) невозможно использовать ни одной из форм или средствами (электронными или механическими) без письменного разрешения издателя.

Нарушение авторских прав наказуемо законом.

Автор (авторы) несет ответственность за содержание статьи и защиту всеобще принятых норм научной этики и авторских прав.

Мнение автора (авторов) статьи может не совпадать с мнением Издательского дома.

Издательский дом «Технический университет» с благодарностью учитывает все конструктивные замечания, предложения и использует их для совершенствования дальнейшей деятельности.

Пишите:  
[sagamomcemlosakhli@yahoo.com](mailto:sagamomcemlosakhli@yahoo.com)

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

### ПРЕДСЕДАТЕЛЬ

А.И. Прангишвили

### ЗАМ. ПРЕДСЕДАТЕЛЯ:

Л.Д. Климиашвили

З.А. Гаситашвили

### ЧЛЕНЫ РЕДКОЛЛЕГИИ:

А.Г. Абралава, Г.С. Абрамишвили, А.В. Абшилава,  
Т.А. Амброладзе, Е.Ш. Бараташвили, Т.В. Бацикадзе,  
С. Биелецки (Польша), П. Биелик (Словакия),  
Дж.Л. Беридзе, Вл.Г. Вардосанидзе, Т.Г. Габададзе,  
Дж.В. Гахокидзе, О.Г. Гелашвили,  
А.В. Гигинеишвили, Г. Гобш (Германия),  
Ал.Р. Григолишвили, Т.А. Джагоднишвили,  
Т.С. Джишкариани, У.И. Звиададзе, О.Г. Зумбуридзе,  
Г. Зункел (Австрия), И.С. Квеселава, Т.А. Квициани,  
А. Кеевалик (Эстония), З.Г. Кикнадзе,  
К.А. Кокрашвили, Е.Р. Кутелия, И.Б. Ломидзе,  
Т.Н. Ломинадзе, А. Мамалис (Греция),  
М.И. Мацаберидзе, Л.Д. Мдзинашвили,  
Т.Я. Мегрелидзе, М.А. Месхи, А.Н. Моцонелидзе,  
Д.Г. Натрошвили, Н.В. Нацвалишвили,  
Ш.А. Немсадзе, Д.А. Нозадзе, Г.Г. Салуквадзе,  
Д.Д. Тавхелидзе, П. Тодуа (Россия), З.Н. Цверайдзе,  
М.М. Чхеидзе, А.М. Шарвашидзе,  
С. Шмидт (Германия), Г. Штроер (Германия),  
Э.Н. Элизбарашвили, С.Ю. Эсадзе

© Издательский дом “Технический университет”, 2018

ISSN 1512-0996



Verba volant,  
scripta manent

# შინაარსი

## ენერგია

დ. ჯაფარიძე, პ. უნგიაძე. საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის ეფექტიაციას პროგნოზული ანალიზი.....	11
-------------------------------------------------------------------------------------------------------	----

## საინიცო საშმე

ი. ლომიძე, გ. ხელიძე. ნაკადის კავიტაციური და აბრაზიული ზემოქმედება საშუალო- დაწევიანი ზრდისის ჰიდროტურბინის გამდინარე ნაწილის ელემენტებზე.....	25
ი. ინაშვილი, ი. დენისოვა. ჩამდინარე ყყლებში კონსოლიდირებული ნაწილაკების დალექვის კანონზომიერებები.....	31
გ. ლეინეფაძე, ნ. გიორგაძე, ვ. ჭუმბურიძე. სპოლის მართვის ავტომატიზებული სისტემის კონცეპცია.....	38
თ. მეგრელიძე, თ. ისაკაძე, გ. გუგულაშვილი. პროაანზე მომუშავე აპსორბციული მაცივარი.....	47
თ. მეგრელიძე, თ. ისაკაძე, გ. გუგულაშვილი. ინოვაციური კონსტრუქციის მაცივარ-აბენტების ევაკუატორი მანქანა.....	54
ლ. მახარაძე. ჰიდროსატრანსპორტო სისტემების სადაწეო მიღსაღენი მაგისტრალების სიმტკიცეზე გაანგარიშებას შესახებ მათზე განვითარებული ჰიდროდინამიკური კრიტერიების გათვალისწინებით.....	60

## ვარმაპოლობია, ტოშიპოლობია და ვარმაცევტიპა

გ. პატარიძე, ნ. გელოვანი, მ. მაისურაძე. ჩვეულებრივი კაპლის (JUGLANS REGIA) და თხელის (CORYLUS) ნაყოფების, გობრის (CUCURBITA) და ნეხვის (CUCUMIS MELO) მესლების სამკურნალო მნიშვნელობა ქართული სალეური ყყაროების მიხედვით.....	66
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

რ. მელქაძე. ახალი ადაპტობენური პრეკარატი.....	79
რ. მელქაძე. ბიოაქტიური დანამატის – „GRAIL”-ის ტოქსიკოლოგია.....	89
ავტორთა სამიეგვძი .....	104
რეცენზენტთა სამიეგვძი .....	105
ავტორთა საშუალებოები .....	106

# CONTENTS

## ENERGY

D. Japaridze, K. Ungiadze. FORECAST ANALYSIS OF THE EFFICIENCY OF ELECTRICITY IMPORTS IN GEORGIA .....	11
--------------------------------------------------------------------------------------------------------	----

## ENGINEERING

I. Lomidze, G. Khelidze. CAVITATION AND ABRASING EFFECT OF A FLOW ON FLOW RANGE ELEMENTS OF THE MEDIUM-PRESSURE FRANCIS TURBINE.....	25
I. Inashvili, I. Denisova. PATTERNS OF SEDIMENTATION OF THE CONSOLIDATED PARTICLES IN THE WASTEWATER.....	31
G. Gvinepadze, N. Giorgadze, V. Chumburidze. THE CONCEPT OF AN AUTOMATED SCHOOL MANAGEMENT SYSTEM.....	38
T. Megrelidze, T. Isakadze, G. Gugulashvili. PROPANE-OPERATED ABSORPTION REFRIGERATOR.....	47
T. Megrelidze, T. Isakadze, G. Gugulashvili. REFRIGERANT EVACUATION MACHINE OF INNOVATIVE DESIGN .....	54
L. Makharadze. ABOUT THE STRENGTH ANALYSIS OF PRESSURE PIPELINE OF HYDROTRANSPORT SYSTEMS TAKING INTO ACCOUNT INFLUENCE OF ONGOING HYDRODYNAMIC PROCESSES .....	60

## PHARMACOLOGY, TOXICOLOGY AND PHARMACEUTICS

G. Pataridze, N. Gelovani, M. Maisuradze. THE MEDICINAL VALUE OF JUGLANS REGIA AND CORYLUS YIELDS, CUCURBITA AND CUCUMIS MELO SEEDS ACCORDING TO GEORGIAN FOLK SOURCES .....	66
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

<b>R. Melkadze. NEW ADAPTOGENIC PREPARATION.....</b>	<b>79</b>
<b>R. Melkadze. TOXICOLOGY OF BIOACTIVE ADDITIVE “GRAIL” .....</b>	<b>89</b>
<b>AUTHOR’S INDEX .....</b>	<b>104</b>
<b>REVIEWER’S INDEX .....</b>	<b>105</b>
<b>GUIDE FOR AUTHORS.....</b>	<b>112</b>

# СОДЕРЖАНИЕ

## ЭНЕРГИЯ

Д.А. Джапаридзе, К.М. Унгиадзе. ПРОГНОЗНЫЙ АНАЛИЗ ЭФФЕКТИВНОСТИ ИМПОРТА ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ В ГРУЗИЮ.....	11
---------------------------------------------------------------------------------------------------------	----

## ИНЖЕНЕРНОЕ ДЕЛО

И.Б. Ломидзе, Г.К. Хелидзе. КАВИТАЦИОННОЕ И АБРАЗИВНОЕ ВОЗДЕЙСТВИЕ ПОТОКА НА ЭЛЕМЕНТЫ ПРОТОЧНОЙ ЧАСТИ СРЕДНЕНАПОРНОЙ ГИДРОТУРБИНЫ ФРЕНСИСА .....	25
И.Д. Инашвили, И.А. Денисова. ЗАКОНОМЕРНОСТИ ОСЕДАНИЯ КОНСОЛИДИРОВАННЫХ ЧАСТИЦ В СТОЧНЫХ ВОДАХ .....	31
Г.Ш. Гвинепадзе, Н.А. Гиоргадзе, В.В. Чумбуридзе. КОНЦЕПЦИЯ АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ ШКОЛОЙ .....	38
Т.Я. Мегрелидзе, Т.А. Исакадзе, Г.Л. Гугулашвили. АБСОРБЦИОННЫЙ ХОЛОДИЛЬНИК, РАБОТАЮЩИЙ НА ПРОПАНЕ.....	47
Т.Я. Мегрелидзе, Т.А. Исакадзе, Г.Л. Гугулашвили. МАШИНА ДЛЯ ЭВАКУАЦИИ ХЛАДОАГЕНТОВ ИННОВАЦИОННОЙ КОНСТРУКЦИИ .....	54
Л.И. Махарадзе. О РАСЧЕТЕ НА ПРОЧНОСТЬ НАПОРНЫХ ТРУБОПРОВОДНЫХ МАГИСТРАЛЕЙ ГИДРОТРАНСПОРТНЫХ СИСТЕМ С УЧЕТОМ ВЛИЯНИЯ ГИДРОДИНАМИЧЕСКИХ ПРОЦЕССОВ ПРОТЕКАЮЩИХ В НИХ .....	60

## ФАРМАКОЛОГИЯ, ТОКСИКОЛОГИЯ И ФАРМАЦЕВТИКА

Г.Г. Патаридзе, Н.Дж. Геловани, М.Г. Майсурладзе. МЕДИЦИНСКАЯ ЦЕННОСТЬ ПЛОДОВ: ГРЕЦКОГО ОРЕХА (JUGLANS REGIA), ФУНДУКА (CORYLUS), СЕМЯН ТЫКВЫ (CUCURBITA) И ДЫНИ (CUCUMIS MELO) В СООТВЕТСТВИИ С ГРУЗИНСКИМИ НАРОДНЫМИ ИСТОЧНИКАМИ .....	66
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

<b>Р.Г. Мелкадзе.</b> НОВЫЙ АДАПТОГЕННЫЙ ПРЕПАРАТ.....	79
<b>Р.Г. Мелкадзе.</b> ТОКСИКОЛОГИЯ БИОАКТИВНОЙ ДОБАВКИ “GRAIL” .....	89
<b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ .....</b>	104
<b>УКАЗАТЕЛЬ РЕЦЕНЗЕНТОВ .....</b>	105
<b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ .....</b>	115

**UDC 382.5+621.31****SCOPUS CODE 2102**

## საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის ეფექტიანობის პრობლემი ანალიზი

**დ. ჯაფარიძე**

ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: d.japaridze@gtu.ge

**პ. უნგარიძე**

ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: kakhaber.ungiadze@mail.ru

### **რეცენზენტები:**

**თ. მუსელიანი,** სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტროენერგეტიკის  
და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: muselianis@yahoo.com

**გ. კიკნაველიძე,** სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტროენერგეტიკის  
და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: zurab.kiknanelidze@gmail.com

**ანოთაცია.** პროგნოზირების თანამედროვე მა-  
თემატიკური მეთოდების, რეგრესული ანალიზის,  
მრავალფაქტორიანი მოდელის და ხელოვნური  
ნეირონული ქსელების გამოყენებით შესრულებუ-  
ლია საქართველოში ელექტროენერგიის წარმოე-  
ბა-მოხმარების საშუალოვადიანი პროგნოზირება.  
დადგენილია, რომ საშუალოვადიან პერიოდში  
2018-2022წ. ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმა-  
რება აჭარბებს წარმოებას. ელექტროენერგიის  
იმპორტის მოცულობების დაზუსტების მიზნით,  
ავტორეგრესული მეთოდით ჩატარებულია მისი  
საშუალოვადიანი პროგნოზი. საქართველოში  
2018-2022 წლებში ელექტროენერგიის წარმოების  
ზრდის ტემპის გათვალისწინებით და ექსპერტუ-  
ლი ანალიზით, დაზუსტებულია იმპორტზე მოთ-  
ხოვნის პროგნოზული მოცულობები. ელექტრო-

ენერგიის იმპორტის ეფექტიანობა შეფასებულია  
2011-2017წ. განხორციელებული იმპორტის და  
ადგილზე თბოსადგურების სიმძლავრეების მაქსი-  
მალური გამოყენებით ელექტროენერგიის წარმოე-  
ბის ზრდის ხარჯზე იმპორტის ჩანაცვლების შე-  
დარებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის შე-  
დეგების საფუძველზე. მეცნიერული კვლევებით  
დადასტურებულია, რომ თბოსადგურებზე ელექ-  
ტროენერგიის წარმოების გაზრდით შესაძლებე-  
ლია იმპორტის მკეთრი შემცირება და მნიშვნე-  
ლოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღება.

**სამართლი სიტყვები:** ავტორეგრესული მეთო-  
დი; ელექტროენერგიის იმპორტი; ნეირონული  
ქსელები; რეგრესული ანალიზი; საშუალოვადია-  
ნი პროგნოზი.

## შესავალი

საქართველოსთვის, რომელიც შემოღომაზამთრის პერიოდში განიცდის ელექტროენერგიის დაფიციტს, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ელექტროენერგიის იმპორტის პროგნოზული ანალიზი და მისი ოპტიმალური დაგეგმვა. ამ საქმეში წინა პლანზე იწევს ადგილობრივი სიმძლავრეების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით, ელექტროენერგიის წარმოების ზრდით, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება. ამასთან აუცილებელია მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დადგინდეს ადგილობრივი წარმოების ინტენსიურობის გაზრდით იმპორტის შემცირების ისეთი ზღვარი, რომელიც მთლიანობაში აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ეფექტიანობას, შეინარჩუნებს ენერგოსისტემის უუნქციონირების მდგრადობას, კონკორდიურ ეფექტოან ერთად უზრუნველყოფს სოციალურ ეფექტიანობასაც.

იმის გათვალისწინებით, რომ დასმული პრობლემა საქართველოში სრულყოფილად არ არის

შესწავლითი, დრმა მეცნიერული კვლევის საფუძველზე უნდა ჩატარდეს იმპორტის ეფექტიანობის პროგნოზული ანალიზი და მიღებული შედეგების მიხედვით შემუშავდეს, ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოების არსებული სიმძლავრეების შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებით ელექტროენერგიის იმპორტის შემცირების კომპლექსური პროგრამა და მისი ჩანაცვლების ოპტიმალური სქემა.

## ძირითადი ნაწილი

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ჩატარებულია საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის ეფექტიანობის პროგნოზული ანალიზი, რისთვისაც მოძიებულია ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების და იმპორტის 2011-2017წწ. სტატისტიკური მონაცემები [1], რომელიც ასახულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

### საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების და იმპორტის 2011-2017წწ სტატისტიკური მონაცემები

ელექტროენერგია	მლნ.კვტ.სთ.	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
წარმოება	მლნ.კვტ.სთ.	10105	9698	10059	10370	10833	11574	11531
მოხმარება	მლნ.კვტ.სთ.	10383	10086	10345	11006	11292	12693	13067
იმპორტი	მლნ.კვტ.სთ.	471	615	484	852	699	479	1497

კორელაციული ანალიზით [2] დადგენილია ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები:

- ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი;
- ელექტროენერგიის ექსპორტი;
- შეშის მოხმარება;
- ბუნებრივი აირის საყოფაცხოვრებო მოხმარება;
- ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფი;

- ექსპლუატაციაში მყოფი ავტომანქანების რაოდენობა;
- ჰიბრიდული, აირზე და ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომანქანების რაოდენობა;
- ბენზინის ფასი;
- დიზელის ფასი;
- მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი;
- ეროვნული ვალუტის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი;

- ურბანიზაციის დონე;
- მოსახლეობის რაოდენობა, ტურისტების რაოდენობა.


[3] შრომის ავტორების მიერ დამუშავებული მეთოდით, თანამედროვე მათემატიკური მეთოდების, რეგრესულ-ფაქტორული ანალიზის და ნეირონული ქსელების გამოყენებით, ჩატარებულია

ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების საშუალოვადიანი პროგნოზი, რეგულირებადი ტრენდით ექსპონენციალური გამოთანაბრების მეთოდით [4] განხსაზღვრულია საქართველოში ელექტროენერგიის წრმოება-მოხმარების მოცულობის, ზედა და ქვედა ზღვრები. კლევის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში და გრაფიკის სახით ასახულია მე-2 სურათზე.

## ცხრილი 2

### საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების პროგნოზული მაჩვენებლები


ელექტროენერგია	ზომის ერთეული	ზღვარი	2018	2019	2020	2021	2022
წარმოება	მლნ.კვტ.სთ.	ზედა	12426	13797	14222	14617	15025
		საბაზისო	11948	13266	13675	14055	14447
		ქვედა	11470	12735	13128	13493	13869
მოხმარება	მლნ.კვტ.სთ.	ზედა	13997	14418	14850	15295	15755
		საბაზისო	13459	13863	14279	14707	15149
		ქვედა	12921	13308	13708	14119	14543



სურ. 1. საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების საშუალოვადიანი პროგნოზული სიდიდეების ცვალებადობის დინამიკა

როგორც გრაფიკიდან (სურ. 1) ჩანს საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება ჭარბობს წარმოებას და მოსალოდნელია ამ ტენდენციის 2022 წლამდე გაგრძელება.

1-ელი ცხრილის მონაცემების საფუძველზე აგებულია საქართველოში 2011-2017წწ. ელექტროენერგიის იმპორტის ცვალებადობის გრაფიკი, რომელიც მოცემულია მე-2 სურათზე.



სურ. 2. საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის  
2011-2017წწ. ცვალებადობის დინამიკა

საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის სეზონურობის დადგენის მიზნით 2011-2017 წწ. სტატისტიკური მონაცემების [1] მიხედვით ჩატარ-


და სპეციალური ანალიზი. ანალიზის შედეგები ასახულია მე-3 ცხრილში და მე-4 სურათზე.

სტატისტიკური მონაცემების [1] მიხედვით ჩატარ-

### ცხრილი 3

ელექტროენერგიის იმპორტის სტატისტიკური მონაცემები (თვეების მიხედვით)  
2011-2017 წწ.

იმპორტი	ზომის ერთეული	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2011წ.	მლნ.კვტ.სთ.	77,0	78,7	37,6	7,8	1,9	0,1	7,4	2,3	15,7	6,0	97,3	139,1
2012წ.	მლნ.კვტ.სთ.	80,5	74,4	217,6	26,0	0,3	0,8	0,6	0,2	22,0	50,9	47,6	93,6
2013წ.	მლნ.კვტ.სთ.	126,6	75,2	61,9	0,0	0,0	0,5	0,0	0,8	0,9	15,6	85,0	117,8
2014წ.	მლნ.კვტ.სთ.	125,7	86,2	34,4	34,4	0,0	0,7	6,3	74,5	88,4	104,2	139,3	157,9
2015წ.	მლნ.კვტ.სთ.	166,1	63,1	75,6	42,1	0,9	1,6	1,3	38,6	45,4	58,1	83,4	122,9
2016წ.	მლნ.კვტ.სთ.	93,1	121,1	133,3	24,7	2,7	0,9	5,3	10,5	24,2	16,9	12,7	33,5
2017წ.	მლნ.კვტ.სთ.	179,0	249,7	311,4	146,5	1,6	0,0	1,1	72,9	132,9	157,1	110,2	134,7



სურ. 3. საქართველოში 2011-2017 წწ. ელექტროენერგიის იმპორტის  
ცვალებადობის დინამიკა (თვეების მიხედვით)

ანალიზის შედეგები მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი ატარებს სეზონურ ხასიათს. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტი მნიშვნელოვნად აჭარბებს გაზაფხული-ზაფხულის თვეებში შემოტანილი ელექტროენერგიის მოცულობას.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის მოთხოვნაზე, მე-3 ცხრილში მოყვანილია 2011-2017 წლებში საქართველოში განხორციელებული ელექტროენერგიის იმპორტის შესახებ, სტატისტიკური მონაცე-

მების შესაბამისად. ავტორეგრესული მოდელით [3] შესრულებულია იმპორტის საშუალოვადიანი პროგნოზი და რეგულირებადი ტრენდით ექსპონენციალური გამოთანაბრტების მეთოდით დადგენილია ზედა და ქვედა ზღვრები. ზოგადად პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელი [3] გამოსახულია შემდეგი ფორმულით:

$$Y_t = a_1y_{t-1} + a_2y_{t-2} + \dots + a_ny_{t-n} + b \quad (1)$$

სადაც  $Y_t$  არის ენერგორესურსის საპროგნოზე სიდიდე  $y_{t-1}$ ;  $y_{t-2}$  – ენერგორესურსების საპროგნოზე სიდიდები მოქმედი ფაქტორების წინა 2 წლის მაჩვენებლები;  $a_1$ ;  $a_2 \dots a_n$  – რეგრესის კოეფიციენტები, რომელიც გააჩვენებს, სხვა ფაქტორების ფიქსირებული მნიშვნელობის დროს, შესაბამისი ფაქტორის გავლენის დონეს საპრო-

გნოზო მაჩვენებელზე;  $b$  – თავისუფალი წევრია. ფორმულა(1)-ით 1-ელი ცხრილის მონაცემებით კომპიუტერული პროგრამა EXCEL-ის მეშვეობით განსაზღვრულია  $a_1$ ;  $a_2$  და  $b$ -ს მნიშვნელობები. შესაბამისად საქართველოში გლექტორენერგიის იმპორტის საშუალოვადიანი პროგნოზის გამოსახულებამ მიიღო სახე:


$$Y_{2018} = -0,04*1497+0,3*479+1063,9=1147,72 \quad (2)$$

გამოსახულება (2)-ით და 1-ელი ცხრილის მონაცემებით შესრულებულია საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის საშუალოვადიანი პროგნოზი, დადგენილია ზედა და ქვედა ზღვრები. შედეგები შეტანილია მე4 ცხრილში და გრაფიკის სახით წარმოდგენილია მე4 სურათზე.

#### ცხრილი 4

#### საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის პროგნოზული მაჩვენებლები 2018-2022 წწ

ელექტროენერგია	ზომის ერთეული	ზღვარი	2018	2019	2020	2021	2022
იმპორტი	მლნ.კვტ.სთ.	ზედა	1193,6	1304,6	1343,2	1222,0	1278,2
		საბაზისო	1147,7	1254,4	1291,5	1175	1229
		ქვედა	1101,8	1204,2	1239,8	1128,0	1179,8



სურ. 4. საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის საშუალოვადიანი პროგნოზი ზედა და ქვედა ზღვრების ჩვენებით

იმპორტის პროგნოზული მაჩვენებლების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემების საფუძვლზე [7] დებალურად შესწავლილ იქნა ქვეყნაში 2018-2022 წწ. ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა, დაზუსტდა 2022 წლამდე და მათი ექსპლუატაციაში შესვლის გრაფიკი და

განისაზღვრა მათ მიერ ელექტროენერგიის წარმოების შესაძლებლობები. ცალკე გაანალიზდა ამჟამად მოქმედი თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდის პერსპექტივები. თვალსაჩინოების მიზნით კვლევის შედეგები შეტანილია მე-5 ცხრილში.

## ცხრილი 5

**საქართველოში გენერაციის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავების მაჩვენებლები 2019-2022 წწ.**

ენერგორესურსი	ზომის ერთეული	წარმოება	2019	2020	2021	2022
ელექტროენერგია	მლნ.კვტ.სთ.	ზედა თეორიულად შესაძლებელი	1 365,5	2 370,5	2 872	3 212,1
		ქვედა თეორიულად შესაძლებელი	1 092,7	1 896,4	2 298,4	2 574,2

ელექტროენერგიის იმპორტის ეფექტიანობის შესაფასებლად განხორციელებულია 2015-2017-ში იმპორტირებული ელექტროენერგიის შესყიდვაზე გაწეული ხარჯების და აღიილზე ელექტროენერგიის წარმოების გაზრდით მის ჩანაცვლებაზე საჭირო აუცილებელი ხარჯების შედარებითი ანალიზი. ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ირკვე-

ვა, რომ საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა შესაძლებელი იყო თბოსადგურების სიმძლავრეების გამოყენების ხანგრძლივობის გაზრდით. თბოელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები მოცემულია მე-6 ცხრილში.

## ცხრილი 6

**თბოელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები**

დასახელება	თბოსადგურების ტარიფი თეთრი/კვტ.სთ.	სიმძლავრე (მგვტ)	ელენერგიის გამომუშავების შესაძლებლობა მლნ.კვტ.სთ. (დღე)	უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრე წლის განმავლობაში (დღე)	გაზის ხელითი ხარჯი მ³/კვტ.სთ.
გარდაბნის თბოსადგური	2015წ.	231	5,54	61	0,197
	2016წ.			300	
	2017წ.			300	
	2018წ.				

გამოქვეყნება

ჯიფაუერი	2015წ. (იან.-აგვ.)	7,397	80	1,92	335	0,285
	2015წ.(აგვ.- დეკ.)	7,534				
	2016წ.	8,460			336	
	2017წ.	10,537			335	
	2018წ.	9,431				
თბილსრეესი (ბლ.№3;№4 ჯიფაუერი)	2015წ.(იან. -აგვ.)	7,319	272	6,52	278	0,311
	2015წ.(აგვ.- დეკ.)	10,194			288	
	2016წ.	11,303			300	
	2017წ.	10,963				
	2018წ.	11,511				
მტკვარი ენერგეტიკა (ბლ.№9)	2015წ.(იან. -აგვ.)	7,229	250	6	296	0,276
	2015წ.(აგვ.- დეკ.)	10,871			304	
	2016წ.	10,748			275	
	2017წ.	11,358				
	2018წ.	11,512				


მე-5 ცხრილში ასახული ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ამ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის წარმოების შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა 2015-2017წლებში იმპორტირებული ელექტრო-

ენერგიის ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიით ჩანაცვლების სქემა და შეფასდა ამ სქემის ეფექტიანობა. ანგარიშის შედეგები შეტანილია მე-7 ცხრილში და გრაფიკის სახით მოცემულია მე-5, მე-6 სურათებზე.


## ცხრილი 7

**საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის, ადგილობრივად წარმოებული  
ელექტროენერგიით ჩანაცვლების ეფექტიანობის ზოგადი მაჩვენებლები**

დასახელება	2015წ.	2016წ.	2017წ.
იმპორტი სულ (მლნ.კვტ.სთ.)	699,1	478,9	1497,2
იმპორტის ფასი (მლნ.დოლ.)	43,8	21,6	66,6
იმპორტის ჩასანაცვლებლად საჭირო რეზერვი (მლნ.კვტ.სთ.)	681,9	478,9	1300,6
იმპორტის ჩასანაცვლებლად საჭირო რეზერვის ფასი (მლნ.დოლ.)	23,0	16,8	53,1



სურ. 5. საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების სქემა (2015-2017წწ.)



სურ. 6. საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების ეფექტიანობის მაჩვენებლები (2015-2017წწ.)

მოყვანილი ცხრილიდან და გრაფიკებიდან ცალსახად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ელექტროენერგიის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება ეფექტიანია, როგორც ეკონომიკურად ისე ტექნიკურად.

მეტ ცხრილში მოცემულია იმპორტირებული და იმპორტის ჩასანაცვლებლად საჭირო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფების შედარებითი ანალიზი (2015-2017წწ.).

**იმპორტირებული და იმპორტის ჩასანაცვლებლად საჭირო  
ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფების  
შედარებითი ანალიზი (2015-2017წწ.)**


წელი	იანვ	თებერ	მარტ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
ვალუტის კურსი 2015წ.	1,9469	2,0912	2,1938	2,2611	2,322	2,2608	2,2608	2,3243	2,4019	2,393	2,4019	2,3989
იმპორტ. საშ. ტარ. 2015წ. ცენტი	6,42	6,55	6,72	7,37	6,15	6,17	6,06	6,36	6	5,88	5,81	5,82
იმპორტ. შეწ. ტარ. 2015წ. ცენტი	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26	6,26
თბოსად. მიერ დამატებით გამომუშ. ელენერგიის საშ.შეწ. ტარ. 2015წ. ცენტი	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37	3,37
ვალუტის კურსი 2016წ.	2,4384	2,4829	2,3717	2,2651	2,1861	2,1989	2,3363	2,3163	2,3125	2,3619	2,4773	2,6547
იმპორტ. საშ. ტარ. 2016წ. ცენტი	5,97	4,48	2,84	5,2	5,98	6,18	2,33	5,2	4,9	5,2	5,5	5,2
იმპორტ. შეწ. ტარ. 2016წ. ცენტი	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91	4,91
თბოსად. მიერ დამატებით გამომუშ. ელენერგიის საშ.შეწ. ტარ. 2016წ. ცენტი	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51	3,51
ვალუტის კურსი 2017წ.	2,7026	2,6373	2,4661	2,4156	2,4276	2,4115	2,3996	2,3976	2,4686	2,5063	2,6748	2,6084
იმპორტ. საშ. ტარ. 2017წ. ცენტი	4,97	3,46	3,92	4,59	5,91	0,00	6,80	4,93	4,84	5,21	4,80	4,80
იმპორტ. შეწ. ტარ. 2017წ. ცენტი	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52	4,52
თბოსად. მიერ დამატებით გამომუშ. ელენერგიის საშ.შეწ. ტარ. 2017წ. ცენტი	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08	4,08

საქართველოში მთლიანობაში ელექტროენერგიის იმპორტის ეფექტიანობის შესაფასებლად, ჩატარებულია 2012-2017წლებში ამ პროცესის გან-


ხორციელების შედარებითი ექონომიკური ანალიზი. ანალიზის შედეგები მოცემულია მე-8 ცხრილში და მე-7, მე-8 სურათებზე.

**საქართველოში ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის შედარებითი  
ტუქნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 2012-2017 წწ**

იმპორტის ფასი (1000 აშშ. დოლარი)													
წელი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი
2012	4548	4542	13350	1617	16	49	37	13	1432	3362	2995	690	32650
2013	7649	4698	3755	0	0	34	0	54	71	1023	5436	7579	30300
2014	7642	5591	2236	2257	0	49	540	4839	5857	7070	8826	6099	51007
2015	10658	4139	5086	3105	57	99	81	2452	2725	3412	4850	7156	43819
2016	5557	5422	3791	1284	164	58	124	544	1185	876	700	174	19879
2017	8894	8647	12223	6729	95	0	78	3596	6435	8181	529	646	56053
იმპორტის სულ მონ.კვტ.სთ.													233709
წელი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი
2012	80	74	218	26	0	1	1	0	22	51	48	94	615
2013	127	75	62	0	0	0	0	1	1	16	85	118	484
2014	126	86	34	34	0	1	6	74	88	104	139	158	852
2015	166	63	76	42	1	2	1	39	45	58	83	123	699
2016	93	121	133	25	3	1	5	10	24	17	13	33	479
2017	179	250	311	147	2	0	1	73	133	157	110	135	1497
იმპორტის ტარიფი (აშშ/კვტსთ)													4626
წელი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო
2012	0,057	0,061	0,061	0,062	0,062	0,058	0,060	0,060	0,065	0,066	0,063	0,007	0,057
2013	0,060	0,063	0,061	0,000	0,066	0,071	0,000	0,072	0,081	0,066	0,064	0,064	0,056
2014	0,061	0,065	0,065	0,066	0,000	0,075	0,086	0,065	0,066	0,068	0,063	0,039	0,060
2015	0,064	0,066	0,067	0,074	0,061	0,062	0,061	0,064	0,060	0,059	0,058	0,058	0,063
2016	0,060	0,045	0,028	0,052	0,060	0,062	0,023	0,052	0,049	0,052	0,055	0,052	0,049
2017	0,050	0,035	0,039	0,046	0,059	0,000	0,068	0,049	0,048	0,052	0,048	0,048	0,045
ექსპორტის ფასი (1000 აშშ. დოლარი)													
წელი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი
2012	0	0	0	408	4446	6812	5648	975	336	0	40	1	18665
2013	0	0	0	3552	4638	2209	0	0	799	2844	0	0	14043
2014	0	0	0	0	6059	5536	13112	1291	0	1337	2110	0	29445
2015	0	0	1240	1551	5305	7338	6273	1095	1206	1099	955	0	26063
2016	1	0	0	0	6289	8232	6479	1307	6	10	0	0	22324
2017	75	1	2	7	6759	2467	7389	1432	4	8	0	0	18143
ექსპორტის სულ მონ.კვტ.სთ.													128682
წელი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი
2012	0	0	0	12	126	221	139	26	4	0	1	0	528
2013	0	0	0	114	146	75	0	0	26	89	0	0	450
2014	0	0	0	0	162	119	198	19	0	20	27	59	604
2015	0	0	28	43	144	185	166	24	25	25	20	0	660
2016	0	0	0	0	190	212	130	27	0	0	0	0	559
2017	1	0	0	0	200	230	222	32	0	0	0	0	685
ექსპორტის ტარიფი (აშშ/კვტსთ)													3486
წელი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი
2012	0,000	0,000	0,000	0,034	0,035	0,031	0,041	0,038	0,075	0,000	0,076	0,077	0,407
2013	0,000	0,000	0,000	0,031	0,032	0,029	0,000	0,000	0,031	0,032	0,040	0,027	0,221
2014	0,000	0,000	0,065	0,000	0,037	0,047	0,066	0,068	0,000	0,066	0,077	0,000	0,426
2015	0,041	0,000	0,044	0,036	0,037	0,040	0,038	0,046	0,049	0,043	0,048	0,000	0,421
2016	0,045	0,000	0,000	0,041	0,033	0,039	0,050	0,048	0,060	0,062	0,042	0,000	0,420
2017	0,075	0,060	0,067	0,060	0,034	0,011	0,033	0,045	0,063	0,075	0,000	0,000	0,523



სურ. 7. ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის მოცულობა 2012-2017წწ. (მლნ.კვტ.სთ.)

სურ. 8. ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტზე გადახდილი თანხები 2012-2017წწ.  
(1000 აშშ დოლარი)

მე-9 ცხრილში ასახული მონაცემებით დასტურდება, რომ 2012-2017 წლებში საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის რაოდენობამ ჯამურად შეადგინა 4626 მლნ.კვტ.სთ. და გადახდილ იქნა 233,7 მლნ.დოლარი ანუ 1 კვტ.სთ. იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულებამ შეადგინა 5,05 ცენტი, ხოლო იგივე პერიოდში ელექტროენერგიის ექსპორტის რაოდენობა იქნა 3486 მლნ.კვტ.სთ., საიდანაც ქვეყანამ მიიღო 128,7 მლნ.დოლარი და 1 კვტ.სთ. ექსპორტირებული ელექტროენერგიის ფასმა შეადგინა 3,7 ცენტი,

რაც მეტყველებს იმაზე რომ, იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასი გაცილებით ადგმატება ექსპორტირებული ელექტროენერგიის ფასს, ეს კი იწვევს დიდი ოდენობის უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გადინებას. ყოველივე აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

### დასკვნა

1. რეგრესული ანალიზის, მრავალფაქტორიანი მოდელის და ხელოვნური ნეირონული ქსელების გამოყენებით, შესრულებულია საქართველოში

ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების საშუალოვადიანი პროგნოზირება. ანალიზმა აჩვენა, რომ ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტემპი აჭარბებს მისი წარმოების ზრდის ტემპს, შესაბამისად საშუალოვადიან პერიოდში აუცილებელია ელექტროენერგიის იმპორტი.

2. ავტორეგრესული მეთოდით განხორციელებულია ელექტროენერგიის იმპორტის საშუალოვადიანი პროგნოზი. 2018-2022წ. გენერაციის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად ელექტროენერგიის წარმოების ზრდის გათვალისწინებით, ექსპერტული ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულია იმპორტზე მოთხოვნის პარამეტრები.

3. პრობლემის შესწავლისადმი კომპლექსური მიღებით, ელექტროენერგიის წარმოებაში განერაციის არსებული სიმძლავრეების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების ხარჯზე იმპორტის ჩანაცვლების ტექნიკურ-ეკონომიკური უფასობაზე დამატებითი ანალიზის საფუძველზე, განხორციელებულია საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის უფასობაზის პროგნოზული შეფასება. მეცნიერული კვლევის შედეგად დადას-

ტურებულია, რომ ადგილზე ელექტროენერგიის წარმოებაში თბოსადგურების სიმძლავრეების მაქსიმალურად გამოყენება შესაძლებელს გახდის ელექტროენერგიის იმპორტის მინიმუმამდე დაყვანას და არსებითი ეკონომიკური უფასობის მიღებას.

4. საქართველოში 2012-2017 წწ. ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური უფასობის შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ 1კტ.სთ. იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი დირექტულება 26,7%-ით სჭარბობს ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ დირექტულებას. ელექტროენერგიით ვაჭრობაში უარყოფითმა სალდომ თითქმის 30% შეადგინა.

5. საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის პროგნოზული მაჩვენებლების დასაზუსტებლად ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 2018-2022 წლებში ელექტროენერგიის გენერაციის მშენებარე ობიექტების დადგენილ ვადებში ექსპლუატაციაში შესვლის შემთხვევაში 2019-2020 წლებში საქართველო შეიძლება გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა.

## ლიტერატურა

1. URL: <http://esco.ge/ka/energobalansi> (in Georgian).
2. Japaridze D., Magradze T. Medium-term forecast of electricity generation in Georgia. Scientific-analytical journal "Saqartvelos ekonomika". №7-8. 2008. (in Georgian).
3. Japaridze D., Giorgishvili N. Medium-term forecast and planning of electricity balance in Georgia. (in Georgian).
4. Rimer M. I., Kasatov A. D., Matienko M. M. Economic assessment of investment. Piter Publ., St. Petersburg. 2007. (in Russian).
5. URL: <http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD> (in Georgian).
6. URL: <http://www.geostat.ge/> (in Georgian).
7. URL: <http://www.energy.gov.ge/> (in Georgian).

UDC 382.5+621.31

SCOPUS CODE 2102

## FORECAST ANALYSIS OF THE EFFICIENCY OF ELECTRICITY IMPORTS IN GEORGIA

<b>D. Japaridze</b>	Department of Electric Power and Electromechanics, Georgian Technical University, 75 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: d.japaridze@gtu.ge
<b>K. Ungiadze</b>	Department of Electric Power and Electromechanics, Georgian Technical University, 75 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: kakhaber.ungiadze@mail.ru

### Reviewers:

<b>T. Museliani</b> , Professor, Department of Electric Power and Electromechanics, Faculty of Power Engineering and Telecommunication, GTU E-mail: muselian@yahoo.com
<b>G. Kiknvelidze</b> , Professor, Department of Electric Power and Electromechanics, Faculty of Power Engineering and Telecommunication, GTU E-mail: zurab.kiknvelidze@gmail.com

**ABSTRACT.** Medium-term forecast of electricity production-consumption in Georgia has been performed by using the modern mathematical methods of forecasting, regressive analysis, multifactor model and artificial neural networks. It is established that in the medium term, 2018- 2022, consumption of electricity in the country significantly exceeds the production. Based on autoregressive method was carried out medium-term forecast to specify the volume of electricity imports. Considering increase in electricity generation in Georgia in 2018-2022 and according to the expert analysis, predicted volumes of demand for import are specified. The efficiency of electricity imports is estimated on the basis of comparative technical and economic analysis of relevant indicators for 2011-2017, carried out import and its replacement with electricity generated by thermal power plants. Conducted scientific research proved that the increase of electricity production at thermal power plants makes it possible to significantly reduce imports obtaining essential economic effect.

**KEY WORDS:** Autoregressive method; electricity imports; medium-term forecast; neural networks; regressive analysis.

UDC 382.5+621.31

SCOPUS CODE 2102

## ПРОГНОЗНЫЙ АНАЛИЗ ЭФФЕКТИВНОСТИ ИМПОРТА ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ В ГРУЗИЮ

- Джапаридзе Д.А.** Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: d.japaridze@gtu.ge
- Унгиадзе К.М.** Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: kakhaber.ungiadze@mail.ru

### Рецензенты:

**Т. Муселиани**, профессор Департамента электроэнергетики и электромеханики факультета энергетики и телекоммуникации ГТУ

E-mail: muselian@yahoo.com

**Г. Кикнавелидзе**, профессор Департамента электроэнергетики и электромеханики факультета энергетики и телекоммуникации ГТУ

E-mail: zurab.kiknanelidze@gmail.com

**АННОТАЦИЯ.** Применением современных математических методов, регрессионным анализом, многофакторной моделью и искусственными нейронными сетями выполнено среднесрочное прогнозирование производства и потребления электроэнергии в Грузии. Установлено, что в среднесрочной перспективе 2018-2022 гг. потребление электроэнергии в стране превышает производство. Для уточнения объема импорта электроэнергии авторегрессионным методом был проведён его среднесрочный прогноз. Учитывая увеличение производства электроэнергии в Грузии в 2018-2022 гг. и согласно экспертному анализу, уточнены прогностические объемы спроса на импорт. Эффективность импорта электроэнергии оценена на основе научного сравнительного анализа технико-экономических показателей 2011-2017 гг., осуществлённого импорта и его замещения выработанной электроэнергией тепловыми электростанциями. Научными исследованиями доказано, что с увеличением выработки электроэнергии на тепловых электростанциях возможно резкое сокращение импорта и получение существенного экономического эффекта.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** авторегрессионный метод; импорт электроэнергии; нейронные сети; регрессионный анализ; среднесрочный прогноз.

განხილვის თარიღი 25.01.2018

შემოსვლის თარიღი 18.04.2018

ხულმოწყობის დახაბუჭდარი 05.06.2018

UDC 626/627

SCOPUS CODE 2201

## ნაკადის პავილიონი და აპრაზიული ზემოქმედება საშუალოდაწევიანი ცრენსისის პილოტური გამზირების ნაწილის ელემენტები

ი. ლომიძე	პიდროენერგეტიკისა და მაგისტრალური სამილსადენო სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  E-mail: i_lomidze@hotmail.com
გ. ხელიძე	პიდროენერგეტიკისა და მაგისტრალური სამილსადენო სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75  E-mail: giakhelidze@yahoo.com

### რეცენზენტები:

თ. ჯიშკარიანი, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა  
და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: tengish@yahoo.com

გ. გიგინეიშვილი, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა  
და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: gogiging@yahoo.com

**ანოთაცია.** პიდროტურბინის გამდინარე ნაწილის ელემენტების ცვეთა წარმოდგენილია როგორც გარსშემომდენი ნაკადის კავიტაციური და აბრაზიული ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგი. მაგალითის სახით განხილულია ალაზანის 1-ის საშუალოდაწევიანი ( $H=35,0$  მ) პორიზონტალური ფრენსისის პიდროტურბინა, სადაც აღგილი პქონდა მუშა თვლის ფერსოს ლაბირინთული შემჭიდროების, ფრთების შესასვლელი ნაწილურების და პიდროტურბინის უკანა ხუფის შემჭიდროების, მილტუჩას და კორაჟესის დაზიანებას. დაზიანებული ზედაპირების და დაზიანების ხასიათის შესწავლის შედეგად დად-

გენილ იქნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აბრაზიული ეროზია არის სკავიტაციის მაპროვოცირებელი ფაქტორის. აბრაზული ცვეთის საწინააღმდეგო პრაქტიკული დონისძიების სახით რეკომენდებულია დაპროექტების წინასწარ სტადიაზე პიდროტურბინის მკვებავ წყალში არსებული მინერალების სისალის განსაზღვრა და მისი აუცილებელი გათვალისწინება პიდროტურბინის გამდინარე ნაწილის ელემენტების ზედაპირების დაპროექტებისას.

**საპრანო სიტყვები:** აბრაზიული ცვეთა; კავიტაცია; პიდროტურბინის გამდინარე ნაწილი.

## შესავალი

განვითარებული კავიტაციური მოვლენების არსებობა პიდროტურბინის გამდინარე ნაწილის ელემენტებში იწვევს მისი დეტალების კავიტაციურ რღვევას. კავიტაციური რღვევის ინტენსიურობა დამოკიდებულია კავიტაციის სახეობის, მისი განვითარების ხარისხის და პიდროტურბინის კავიტაციურ რეჟიმში მუშაობის ხანგრძლივობისაგან [1]. პიდროტურბინის მქვებავ წყალში შეწონილი ნაწილაკების არსებობა განაპირობებს მუშა ორგანოების აბრაზიულ ცვეთას [2], [3], რომლის ინტენსიურობას განსაზღვრავს ნაკადში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია, მისი გრანულობებრიული და მინერალოგიური შედგენილობა, ნაწილაკების ფორმა, ნაწილაკების შემცველი ნაკადის პიდროტურბინის მუშა ორგანოებზე ზემოქმედების ხანგრძლივობა და მასალის სახეობა, რომლისგანაც დამზადებულია პიდროტურბინის გამდინარე ნაწილის ელემენტები. ნაკადის ერთობლივი კავიტაციური და აბრაზიული ზემოქმედების ნებატიური ტექნიკურ-ეკონომიკური შედეგები გამოიხატება პიდროტურბინის მქ. კოფიციენტის და სიმძლავრის შემცირებით, აგრეთვე ცვეთის შედეგების აღმოფხვრისათვის რემონტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შრომით, მატერიალური და დროის დანახარჯებით.

ფრენსისის პიდროტურბინებისთვის კავიტაციის სამი ტიპია დამახასიათებელი [1]: პროფილური, ხერელიანი და აღგილობრივი. პროფილური კავიტაციის ზემოქმედებით ძირითადად მუშა თვლის ფრთების ზურგის (არამუშა) მხარე ზიანდება, უმეტეს შემთხვევაში ერთხის ზონა მუშა თვლის ქვედა ფერსოს სიახლოვეს არის განლაგებული. ხერელური კავიტაცია აღიძერება მუშა თვლის ქვედა ფერსოს და მიმმართველი აპარატის ქვედა რგოლს შორის ღრებოში [4]. რგვევას ექვემდებარება ქვედა აფერსოს ზედა ტორსი და მის საპირისპირ მდებარე მიმმართველი აპარატის ქვედა

რგოლის სიბრტყე ადგილობრივ კავიტაციას ადგილი აქვს მუშა თვლის მორგვეში განმტვირთავი ხერების ზონაში.

## ძირითადი ნაწილი

ჩვენი ინტერესია ნაკადის კავიტაციური და აბრაზიული ზემოქმედების ურთიერთგავლების შეწონილი კონკრეტული საშუალოდაწევიანი პიდროტურბინის მაგალითზე, რომლის სახით განვიხილავთ ალაზანი 1 პესის ფრენსისის პიდროტურბინას.

ალაზანის 1-ის სანგარიშო დაწევვაა 35,0 მ, წყლის ხარჯი - 20 მ<sup>3</sup>/წმ, დადგმული სიმძლავრე - 6064,0 კვტ. პესის შენობაში დამონტაჟებულია ორი HL820-WJ-115 მარკის ფრენსისის ტიპის პორიზონტალურლივილვიანი პიდროტურბინა, თითოეული შემდეგი საპროექტო პარამეტრებით: სანგარიშო დაწევვა 35,0 მ, წყლის ხარჯი 10,0 მ<sup>3</sup>/წმ, სიმძლავრე 3159 კვტ, სინქრონული ბრუნთა რიცხვი 428,6 ბრ/წთ, მუშა თვლის დიამეტრი 1150,0 მმ. პესი ექსპლუატაციაშია 2011 წლის ნოემბრიდან.

საგაზაფხულო წყალდიდობისათვის მზადების ფარგლებში მოქმედ პიდროტურბინის უძრავი და მოძრავი შემჭიდროებების და მათ შორის საჰაერო ღრებოების, წინა და უკანა ხუფების უკანგავი ფოლადის მოპირკეთების რევიზია. პიდროტურბინის საცეცი ინსტრუმენტით ჩატარებული ნატურული გაზომვების შედეგად გამოვლინდა შემჭიდროებების შორის ღერჩოების სიდიდის გაზრდილი მნიშვნელობები.

მუშა თვლის შეწავლამ აჩვენა, რომ: დაზიანებულია მუშა თვლის ფერსოს ლაბირინთული (სავარცხლისებური) შემჭიდროება (სურ. 1), ფრთების შესახლელ ნაწილურებზე აღინიშნება კავიტაციური დაზიანება (სურ. 2). დაზიანებული აღმოჩნდა პიდროტურბინის უკანა ხუფის შემჭიდროება (1), მილტურა (2) და კორპუსი (3) (სურ 3).




სურ. 1

მუშა თვლის ფერსოს ლაბირინტული შემჭიდროების და ტურბინის უკანა ხუფის ხერელური შემჭიდროების დაზიანების სიღრმემ შესაბამისად შეადგინა: 4,0 მმ და 6,0 მმ.

პიდროტურბინის გამდინარე ტრაქტის დეტალების დაზიანების ხასიათის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა ხერელური კავიტაცია, რომელიც წარმოიქმნება გამდინარე ტრაქტის დეტალებს შორის დრენაჟში წნევათა სხვაობის არსებობისას. ზემოთ მითითებული იყო, რომ ფრენსისის პიდროტურბინაში ხერელური კავიტაცია აღიძვრება მუშა თვლის ფერსოს და მიმმართველი აპარატის კვედა რგოლს შორის დრენაჟში, ამასთან დაზიანებას ექვემდებარება ფერსოს ზედა ტორსი (იხ. სურ. 2) და მის საპირისპიროდ მდებარე მიმმართველი აპარატის კვედა რგოლის სიბრტყე (იხ. სურ. 3). ეს უკანასკნელი პორიზონტალურ ფრენსისის პიდროტურბინებში პიდროტურბინის უკანა ხუფის სახით არის წარმოდგენილი. ხერელური კავიტაციის წარმოშობა ქვიშის მაღალი შემცველობის მქონე წყალზე მომუშავე პიდროტურბინებში დაკავშირებულია ლაბირინტული შემჭიდროებების ცვეთასთან, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა პიდროტურბინის დაწნევის გაზრდისას. მაგალითად, ბაქსანის ჰესის ფრენსისის პიდროტურბინის (საანგარიშო დაწნევა 90,0მ) მუშა თვალზე ერთხის სიღრმემ შეადგინა 6 მმ [1].

ალაზანისკები 1-ის პიდროტურბინები წყლით იკვებება ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან, რომლის ფსკერი და ფერდები მოუპირკეთებელია, ხოლო არხის ტრასის გასწვრივ მასში ჩაედინება რამდენიმე ხევი, რაც განაპირობებს პესში მიწოდებული წყლის მაღალ სიმღვრივეს (ქვიშის ნაწილაკების მაღალ შემცველობას).



სურ. 2

მუშა თვლის გარსშემომდენ ნაკადში მყარი ნაწილაკების მაღალმა კონცენტრაციამ ხელი შეუწყო მუშა თვლის გარსშემოდენილი ზედაპირების აბრაზიულ ცვეთას, რაც გამოიხატა ფრთების სიგლუვის დაკარგვაში და ამ ზედაპირზე გრიგალების წარმოქმნაში, რომლებიც ინტენსიური კავიტაციის წყაროა. მეორე მხრივ, მყარი ნაწილაკების მაღალი კონცენტრაციის და მუშა თვლის ფერსოზე და მის საპირისპიროდ მოწყობილი ლაბირინტული შემჭიდროებების აბრაზიული ერთხის შედეგად მუშა თვლის ფერსოს და უკანა ხუფს შორის დრენაჟში განვითარდა ხერელური კავიტაცია, რამაც გამოიწვია დრენაჟის სიდიდის გაზრდა და შესაბამისად გაზრდილ დრენაჟში მუშა თვლის გვერდის ავლით გაზრდილი წყლის ხარჯის ნაწილის გადინება.



სურ. 3

ყოველივე ხესენებულის გამო შემცირდა პიდროტურბინის მოცულობითი მ.ქ. კოეფიციენტის და შესაბამისად პიდროტურბინის სრული მ.ქ. კოეფიციენტის სიმძლავრე. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში ნაკადის აბრაზიული ზემოქმედება აღმოჩნდა კავიტაციის განვითარების მაპროცენტურებული ფაქტორი, რაც მნიშვნელოვანია თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოში პესების უმრავლესობა მდებარეობს ან მათი მოწყობა მოიაზრება მდინარეთა სამთო უბნებზე, სადაც ნაკადი მყარი ნაწილაკების მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა. მითითებული პესები უმთავრესად დერივაციული ტიპისაა – მაღალდაწნევიანი, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ზრდის აბრაზიული ფაქტორის როლს. აღნიშნული დასტურდება ჩვენ მიერ შესრულებული რაჭა პესის პიდროტურბინის ცვეთის მიზეზების ანალიზით [5], საიდანაც ჩანს, რომ პიდრობაზიული ცვეთის თვალსაზრისით სახიფათოა კვარცის ნაწილაკები, რომელთა აბრაზიული ზემოქმედებისაგან დაცვა უნდა განხორციელდეს პიდროტურბინის გამდინარე ნაწილის დეტალების ზედაპირების ცვეთამედეგი მასალებისაგან დამზადების გზით. ეს ნაწილობრივ განხორციელდა რაჭა პესზე, რომლის პიდროტურბინის მუშაობა დამზადდა თერმულად დამუშავებული, მაღალი სისალის 06X13Ni4Mo მარკის ფოლადით,

რამაც განაპირობა მისი უმნიშვნელო ცვეთა ტურბინის წინა და უკანა ხუფებთან და მიმმართველი აპარატის ნიჩბებთან შედარებით. აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად პესებზე არსებული სალექარებისა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს 0,25 მმ-ზე ნაკლები ზომის მაღალი სისალის მქონე კვარცის ნაწილაკების დალექვას, და იწვევს გამდინარე ნაწილის ზედაპირების აბრაზიულ ცვეთას. ამ უკანასკნელით გამოწვეული მავნე შედეგების შესუსტება შესაძლებელია პროექტირების საწყის სტადიაზე მდინარის მყარ ნატანში შემავალი მინერალების სისალის განსაზღვრით და პიდროტურბინების გამდინარე ნაწილის ზედაპირების დაპროექტებით შესაბამისი სისალის ფოლადით.

### დასკვნა

მუშა თვლის გარსშემომდებ ნაკადში მყარი ნაწილაკების მაღალმა კონცენტრაციამ ხელი შეუწყო მუშა თვლის ფრთხების ზედაპირების აბრაზიულ ცვეთას, მათი სიგლუების დაქვეითებას, რაც გამოიხატა მათზე გრიგალოვარმოქნაში, რომლებიც ინტენსიური კავიტაციის წყაროა;

მყარი ნაწილაკების მაღალი კონცენტრაციის და მუშა თვლის ფერსოზე და მის საპირისპიროდ მოწყობილი ლაბირინთული შემჭიდროებების აბრაზიული ეროზიის შედეგად განვითარდა ხერჯლური კავიტაცია მუშა თვლის ფერსოს და უგანა ხუფს შორის დრენში;

პიდრობაზიული ცვეთის თვალსაზრისით სახიფათო კვარცის ნაწილაკები, რომლებიც ხასიათდება მაღალი სისალით;

პესებზე არსებული სალექარები ვერ უზრუნველყოფს 0,25 მმ-ზე ნაკლები ზომის მყარი ნაწილაკების დალექვას;

ალაზანი 1 პესის საშუალო დაწნევიანი ფრენსისის პორიზონტალური პიდროტურბინის გამდინარე ნაწილის ზედაპირების დაზიანება ნაკადის

აბრაზიული ზემოქმედებით პროცესირებული კა-  
ვიტაციის შედეგია;

მყარი ნაწილაკების აბრაზიული ზემოქმედები-  
საგან დაცვა უნდა განხორციელდეს პიდრობურ-

ბინის გამდინარე ნაწილის დეტალების ზედაპირე-  
ბის ცვეთამედები მასალებისაგან დამზადების  
გზით.

### ლიტერატურა

1. Pylaev N.I., Edel Yu.U. Cavitation in hydroturbines. "Mashinostroenie ". L., 1974, 256 p. (in Russian).
2. Mironov K. A., Oleksenko Yu. Yu. Justification of type selection of high-head hydroturbine at its design. Bulletin of NTU "KhPI". Series: Hydraulic machinery and hydrounits. Kharkiv. № 41 (1213). 2016, 79-83 pp. (in Russian).
3. Nanda V. K. Parameters effecting abrasion and remedial measures. Proceedings of I international conference "Siting problems in hydro power plants". New Delhi. 1999, V-43-V-52 pp. (in English).
4. Vasilyev Yu.S., Shchavelev D. S. Hydropower and auxiliary equipment of hydroelectric stations. Reference guide. Vol. 1. "Energoatomizdat". Moscow. 1988, 400 p. (in Russian).

UDC 626/627

SCOPUS CODE 2201

## CAVITATION AND ABRASING EFFECT OF A FLOW ON FLOW RANGE ELEMENTS OF THE MEDIUM-PRESSURE FRANCIS TURBINE

**I. Lomidze** Department of Hydroelectricity and Main Pipeline, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia  
E-mail: i\_lomidze@hotmail.com

**G. Khelidze** Department of Hydroelectricity and Main Pipeline, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia  
E-mail: lmakharadze@gtu.ge, lmakharadze@rambler.ru

### Reviewers:

**G. Kirmelashvili**, Professor, Department of Mathematics, Faculty of Informatics and Control Systems, GTU  
E-mail: gkirmelashvili@gtu.ge

**A. Bezhanishvili**, Professor, Department of Mining Technology, Faculty of Mining and Geology, GTU  
E-mail: bezhanishvili@gmail.com

**ABSTRACT.** The article considers strength analysis of pressure pipeline of hydrotransport systems at transportation of abrasive hydro air-fuel mixture taking into account hydroabrasive wear and the increase in pressure at hydrodynamic processes, since these phenomena have a considerable negative effect on their strength and durability. In this case, the thickness (diameter) of the walls of the main pipeline increases to a certain extent, but its durability and respectively technical and economic indicators of pressure hydrotransport systems and their efficiency are significantly decreased.

**KEY WORDS:** Abrasibility; abrasive hydro air-fuel mixtures; durability; durability decrease; durability increase; hydrodynamic processes; pipeline wall thickness; pressure hydrotransport systems; pressure increase; strength of pipelines.

Дата рассмотрения 25.01.2018

Дата поступления 28.02.2018

Подписано к печати 05.06.2018

UDC 613.26

SCOPUS CODE 3002

**ჩვეულებრივი კაპლის (JUGLANS REGIA) და თხილის (CORYLUS) ნაყოფების, ბობრის (CUCURBITA) და ნესვის (CUCUMIS MELO) თუსლების სამარცვალო მნიშვნელობა  
ქართული ხალხური ტყაროვანის მიხედვით**

- გ. პატარიძე ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: gigapataridze7@gmail.com
- ნ. გელოვანი ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: n.gelovani@gtu.ge
- მ. მაისურაძე ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: m\_maisuradze@gtu.ge

**რეცენზენტები:**

თ. გიგოშვილი, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: t.gigoshvili@gtu.ge

ხ. წიქარიშვილი, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: kh.tsikarishvili@gtu.ge

**ანოთაცია.** ხალხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე მთელი რიგი მეცნიერული კვლევების ჩატარებას, რათა განვსაზღვროთ მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძლებლობები.

მცენარეებიდან კვლევისათვის შევარჩიეთ: 1. თხილის (Corylus) ნაყოფი, 2. ჩვეულებრივი კაპლის (კაპალი, ნიგვზის ხე (ლათ. Juglans regia) ხის ნაყოფი, 3. გოგრის (ლათ. Cucurbita) თესლი, 4. ნესვის (Cucumis melo) თესლი.

თხილისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში გამოიყნება. მშრალი თხილის გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საცვები პროდუქტებისათვის გამოიყენება.

ნიგვზის ზეთი შეიცავს A, E, C, B ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენძს, კალციუმს, მაგნიუმს, რინიას, ფოსფორს). აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის.

საქართველოში გოგრას მრავალი დასახელება ჰქონდა: გოგრა, კვახი, ხაპი და აყირო. სამკურნალოდ გამოიყენება რბილობი და თესლი.

იადგარ დაუდიში მითითებულია, რომ მოხარშული და დანაყული აყიროს ნაყენი არჩეს

”სტომაქის სიცხეს და სიმხურვალეს“ კურის ტეი-  
ვილს, შეკრულობას, სიმსივნეს სხეულზე ციქის,  
ცხელებას, თავის ტეივილს, ხელას.

ნესვის თესლი – პოტენციის ასამაღლებელი  
უძველესი საშუალებაა.

ნესვის თესლი მდიდარია თუთიით, რაც იმას  
ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯო-  
ბესებს თმისა და კანის მდგომარეობას.

**საბგანო სიტყვები:** აყირო; ვიტამინები;  
თხილი; ნიგოზი; ნესვი; ორგანული მჟავები.

## შესავალი

მედიცინაში ამჟამად ბევრი სამკურნალო სა-  
შუალება გამოიყენება. რომელთა საწყისი აღებუ-  
ლია ხალხური მედიცინიდან. ჯერ კიდევ პირ-  
ველყოფილი ადამიანი იყენებდა სამკურნალო  
საშუალებებს. სამკურნალო საშუალებების მიღე-  
ბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო მცენა-  
რეული და ცხოველური ნედლეული. დღესდღეო-  
ბით დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული წარ-  
მოშობის პრეპარატებს, რომლებიც გამოირჩევა  
უსაფრთხოებით და მაღალი ეფექტურობით. ხალ-  
ხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული მცე-  
ნარების დიდი რაოდენობა საჭიროებს არაერთი  
მცენიერული კვლევის ჩატარებას, რათა განი-  
სახდეროს მათში ბიოლოგიურად აქტიური  
ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების  
არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძ-  
ლებლობები. ნიგვზის ზეთის გამოყენება ქართული  
ისტორიული წყაროების მიხედვით.

წავლით და ოფიცინალურის მონათესავე სახე-  
ობების ფოლოგენეტიკური კვლევის საფუძველზე;  
ხოლო ნედლეულის ბაზის გაფართოება – ვე-  
ლურად მოზარდი მცენარეების კულტივირებით,  
უცხო ფლორის სახეობების ინტროდუქციით და  
ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

ხალხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული  
მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე  
მთელი რიგი მცენიერული კვლევების ჩატარებას.  
რათა განისაზღვროს მათში ბიოლოგიურად აქტიუ-  
რი ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების  
არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძ-  
ლებლობები. ნიგვზის ზეთის გამოყენება ქართული  
ისტორიული წყაროების მიხედვით.

მცენარეებიდან შევარჩიეთ:

### 1. თხილის (*Corylus*) ნაყოფი



ნაყოფი ერთობელიანი კაკალია. გვარი შეიცავს  
20-მდე სახეობას, რომლებიც საქართველოში  
გავრცელებულია ტექნიკური ზღვის დონიდან 1500-1800  
მ-მდე ბუნებრივად იზრდება თხილის 6 სახეობა:  
ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*) ბუქები ან 8  
მეტრამდე სიმაღლის ხე, გავრცელებულია მთელ  
საქართველოში. იზრდება ქვეტყედ მუხნარებში,  
ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყებში,  
სუბალპური მეჩხერში. ჩრდილის ამტანი და საქმაოდ  
ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებერვალ-მარტი,  
ნაყოფი მწიფდება სექტემბერში.

თხილის გული შეიცავს 5%-მდე წყალს, 60-70%  
ცხიმებს, 15-16% ცილებს. მას მაღალი კვებითი  
ღირებულება აქვს, კალორიულობით იგი 2-3-ჯერ  
აჭარბებს ხორბალს, 3-5-ჯერ ხორცს. ფართოდ  
გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობასა და  
ტექნიკაში უმაღლესი ხარისხის საპოხი ზეთების

## ძირითადი ნაწილი

სამკურნალო მცენარეების ასორტიმენტის  
გაზრდის მიზნით, პერსპექტიულ სახეობათა ძიება  
ხდება ხალხური მედიცინის გამოცდილების შეს-

მისაღებად. მისი სასაქონლო-საექსპორტო პროდუქტის დადებითი მხარეა ვარგისობის ხანგრძლივი ვადა, მაღალი ტრანსპორტაბელურობა.

თხილის კულტურის განვითარების ერთ-ერთ კერად ითვლება შავი ზღვის სანაპირო, მცირე აზიის ქვეყნები. საქართველოში თხილი მაღალ მოსავალს იძლევა კოლხეთის დაბლობის ზონაში.

საქართველოში თხილის კულტურას უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველური ტომები აშენებდნენ თხილის გარეულ ფორმებს, რომელთა ბუნებრივი პიბრიდოზაციის და შერჩევის შედეგად წარმოიშვა გარემო პირობებს შეგუებული, მაღალმოსავლიანი ჯოშებისა და ფორმების სიმრავლე. დღეისათვის საქართველოში გაგრცელებული რამდენიმე ათეული აბორიგენული ჯიშის სახელწოდებები – შველისყურა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და მრავალი სხვა, მათ ადგილობრივ წარმოშობაზე მიგვითითებს.

ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ თხილის საკეთ და სამკურნალო თვისებებსაც. მას წარმატებით იყენებდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა კერძის საკაზმად, არამედ შექმნეს უნიკალური ტრადიციული პროდუქტიც – "ჩურჩხელა", რომელიც გამორჩეულია თავისი კალორიულობითა და საუკეთესო გემოგნური თვისებებით. ამ ლირსებების გამო "ჩურჩხელა" ისტორიულად მეომართა ყოველდღიური კვების რაციონში შედიოდა და დღესაც იგი საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული ტემილეულია.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, თხილს საქართველოში იცნობენ შემდეგი დასახელებებით; თხილი (*Corylus*) მთ. რჭ. ფთხირი, ფთხილი; ჭ. მთხირი; მგრ. თხირი; სვ. შდის, შდგხგნდ, შდიხგნდ.

თხილი დათვისა 6. დათვის თხილი. დათვისთხილი (*Corylus iberica* Wittm. Et Kem. Nath. (= *Corylus*

columna aust. cauc.) ქრთ. დათვითხილა; ინგ. ტყიურა თხილ; მგრ. ტყარ თხილი.

თხილი კოლხური 6, კოლხური თხილი. კოლხური თხილი (*Corylus colchica* A L B ).

თხილი ლომბარდიული 6. ლომბარდიული თხილი. ლომბარდიული თხილი (*Corylus maxima* Mill. (= *C tubulosa* Boissa)).

თხილი მანჯურული 6. მანჯურული თხილი. მანჯურული თხილი (*Corylus manshurica* Max.).

თხილი მიწისა 6. არაქისი. არაქისი მიწის თხილი *Arachis hipogaea* L. მგრ. ლიხაში თხირი.

თხილი პონტიური 6. პონტოური თხილი. პონტოური თხილი *Corylus pontica* C. Koch.

თხილი ჩვეულებრივი 6. ჩვეულებრივი თხილი. ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avelana* L) მთ. რჭ. ფთხილი, ფთხირი; ჭ. მთხირი, ნთხირი; მგრ. თხირი; სვ. შდის, შდგხგნდ.

**თხილის ზეთის გამოყენება ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით**

ნედლ და გადამუშავებულ თხილის გულს ფართოდ მოიხმარენ საკონდიტრო წარმოებაში. გახეხილი თხილის გული გამოიყენება მშრალი საუზმისათვის, აგრეთვე შოკოლადის კრემის წარმოებაში და სხვ. თხილისგან ხდისა ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში გამოიყენება. მშრალი თხილის გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება და ორი წლის განმავლობაში არ კარგავს კვებით დირგბულებას და ზეთოვან თვისებებს.

თხილს სამკურნალო თვისებებიც აქვთ. ძველბერძნულ ხალხურ მედიცინაში თხილის ზეთით მკურნალობა ცნობილია ანემის, ეპილეფსიის, თმის ცვენის, სხვადასხვა დაგვადების დროს, თხილის ნაყოფის საბურველის (ჩენხოს) ნახარშს სვამენ მოჭარბებული სიმსუქნის დროს, ფოთლების ნახარში კი ასუფთავებს სისხლს და მიმარ-

თავენ ათეროსკლეროზის და კენჭოვანი დავადუბების სამკურნალოდ. ამასთან თხილი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებს გამოდევნის და ხელს უწყობებ იმუნური სისტემის გაძლიერებას. აშშ-ში, პორტლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, თხილის ექსტრაქტში აღმოჩნდეს ნივთიერება პაქლოტაკელი, რომელიც შედის დავისათვის უველავე ცნობილ ანტისიმიუნური პრეპარატის (TAXOL) შემადგენლობაში. დღემდე ამ ნივთიერების ერთადერთ ბუნებრივ წყაროდ ითვლებოდა ტისის მერქანი (ერთ-ერთი იშვიათი მცენარე, რომელიც გაფრცელებულია წენარი თკანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში). აღმოჩნდა, რომ თხილი ამ ნივთიერებას იგივე რაოდენით შეიცავს.

თხილის ზეთზე „იადიგარ დაუდიში“ არის ასეთი მითოება „...არის უკეთესი ზეთთაგანი იხმარებოდა წამლად...“. თირკმელების და ნეკნების ტკივილის შემთხვევაში რეკომენდირებულია შემდეგი მცენარეები: „... თუ ესე ნეკთა და თირკმელის ალაგისა ტკივილი სიმხურვმლისაგან არის, ... ამისი წამალი ეს არის რომე მხერვალი ოქნაები უყონ, მხერვალის ზეთებითა თბილსა ალაგისა შექონონ. ასფურის თესლის ერბო, ვითამცა და ალი სარჩულის ერბო, ინდოურის ნიგუზის ზეთი, ნაჟვის ზეთი, ყუსტის ზეთი, თხილის ზეთი, წიფლის ზეთი, სელის ზეთი, ნიგვზის ზეთი თბილ თბილი შეიცხონდა ამ ზეთებშიგა ნუშის ზეთი გაურიონ და ჭამონ...“

ახლად გამოჯამრთელებულ ადამიანებს ურჩევენ - „.მაგრამ ესე ბროწეულისა შარბათი სიქან ჯუბინითა იყოს და ნაჟუს გულისა ნიგოზსა, თხილსა, ნიშასთასა, და პალავაებსა და ტკბილსა საჭმელებსა უუელას უფრთხილდენ, თვარადა უსათუოდ კიდევ შეაქცევს.

თხილი, ამა თხილსა სიხმე და სიმხურვალე ორივ სწორად და ზომიერად აქუს. კაცმან რომე თხილი ჭამოს, ხველისათვის მწოდე კარგი არის. და

დედაკაცმან რომე ესე თხილი ჭამოს ბევრს რძესა ჩაუყენებს. და სიცივისა და სიგრილისაგან კაცსა რომე გული და სტომაქი სტკიოდეს და ესე თხილი ჭამოს, გულისა და სტომაქის ტკივილსა მაშინვე უშველის, მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების, კაცი გვიან მოიდნობს, კაცსა თავსა აატკივებს, თესლისა გაუხმობს და მწოდე მოაკლდებს. საფრას მოუმატებს, ქარს აუგდებს, და თუ კაცმან ბევრი თხილი ჭამოს და აწყინოს, ამისი წამალი და აქიმი შაქარი და შაქრიანი საჭმელები არის, ჭამონ და ეშველების.

მუდამ წელის ალაგსა თაფლ ჭყალი სუან. და ხილებისაგან თხილსა, ნაჟუსა, მართალსა ნიგოზსა, წიფლებსა და ინდურის ნიგუზის გულსა მუდამად სჭამდებ”.

## 2. ჩვეულებრივი კაკლის (კაკალი, ნიგვზის ხე (ლათ. *Juglans regia*) ნის ნაყოფი



კაკალის გავრცელებული ჯიშებია: 1. ჩვეულებრივი, 2. შამირა, 3. შავი კაკალი, 4. რუხი კაკალი, 5. გულისებრი კაკალი, 6. მანჯურიის კაკალი (კერქეტა) და 7. ჩანდლერის, რომელიც მიიღება მყნობით და გამოირჩევა შედარებით მაღალი მოსავლიანობით. ასევე გვხვდება კაკლის შემდეგი ფორმები: ვაზისუბნის თხელნაჭუჭა, კახი-16, შილდა 31, ვაზისუბნის 95, თბილისური 223 და სხვა მრავალი.

საქართველოში ველური კაპლის ყველაზე დიდი კორომია მდინარე ალაზნის ნაპირებზე — პანკისის ხეობაში (10 ჰა) და ჯუმას ფურეში (ალაზნის ველის ჭალაში, 40 ჰა). კაპლის გული შეიცავს ცხიმებს (45-77%), ცილებს (8-21%), B1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. მკვანე ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მწიფე კაპლის გულისაგან — ნიგვზისაგან — ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტორო წარმოებაში. წენგოსაგან ამზადებენ ყავისფერ სადებავს. ფოთლები და წენგო იხმარება მედიცინაში.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, კაკალს საქართველოში შემდეგი დასახელებით იცნობენ: კაკალინ. ჩვეულებრივი კაკალი. ჩვეულებრივი კაპლის ხე კაკალი (*Juglans regia* L.). გურ., იმ., მგრ ნეძი; სენ. კაკრა, კაკ გაკ.

კაკალი წყლისა ნ. წყლის კაკალი. წყლის კაკალი, ჭულუმბური. მგრ. ოხოხია; ჩ. ბალახწაბლა.

ნიგვზის ზეთი დაავადებათა წინააღმდეგ:

**კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები:** ბეტა-სიტოსტეროლი ამცირებს ქოლესტერინის ნაწლავებზი შეწოვის უნარს, ასეფთავებს მის კედლებს. ნიგვზის ზეთის რეგულარული მიღება აჯანსადებს კუჭ-ნაწლავის სისტემას, კურნავს წყლულებს. ნაჩვენებია მისი მიღება მაღალი მეჯიანობით მიმდინარე გასტრიტის შემთხვევაში. ზეთი დაბლა წევს კუჭის წვენის მეჯიანობას, აქრობს გულმმარვას. წარმატებით გამოიყენება ქოლეცისტიტის, კოლიტის, წყლულის კომპლექსურ მქურნალობაში. აძლიერებს ნაღვლის წვენის გამოყოფას, ხდის ნაღვლის სადინარებს ელასტიკურს ხდის, აძლიერებს და ადადგენს დვიძლის უჯრედებს. რეკომენდებულია მწვავე და ქრონიკული ჰემოქლეიდებისაგან. მაღლა წევს ორგანიზმის წინააღმდეგობას რადიაციული და რენდგენოლოგიური დასხივების მიმართ. გამოყოფს რადიონუკლიდებს და კანცეროგენებს ადამიანის ორგანიზმიდან.

**გულ-სისხლძარღვთა სისტემა:** ნიგვზის ზეთი აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ზეთის ზემოქმედებით სისხლძარღვები ხდება მკვრივი და ელასტიკური. ზეთი დაბლა

წევს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აწესრიგებს არტერიულ წნევას. დაბლა წევს ინსულინისა და ინფარქტის წარმოქმნის რისკს. აფერებს ათეროსკლეროზისა და ტრომბოფლებიტის წარმოქმნას. ნიგვზის ზეთი უფასოურად გამოიყენება ვენების ვარიკოზული დაავადების შემთხვევაში, ამავე დროს იგი იწვევს სისხლის წარმოქმნის პროცესის სტიმულირებას.

**ენდოკრინული სისტემა:** არეგულირებს ფარისებრი ჯირკლის მოქმედებას. რეკომენდებულია ჯირკლის მომატებული ფუნქციის (ჩიყვის) დროს. რეგულარული გამოყენებისას ამცირებს შაქრის დონეს სისხლში.

**ნერვული სისტემა და თავის ტგინი:** ზეთში შემავალი ვიტამინები დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ზრდის გონებრივი მუშაობის შესაძლებლობას, აწესრიგებს ძილს და ხსნის დაღლილობას. ამ ზეთის აქტიური კომპონენტები აუმჯობესებს თავის ტვინის კაპილარების ელასტიკურობას, კვებავს თავის ტვინის უჯრედებს.

**შარდსასქესო სისტემა:** ხელს უწყობს თირკმელების რბილ გასუფთავებას. რეკომენდებულია თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს. აძლიერებს სისხლის მიმოქცევას სასქესო ორგანოებში. მამაკაცებში აძლიერებს სპერმატოგენეზს.

**ონკოლოგიური დაავადებები:** ნიგვზის ზეთის რეგულარული მიღება დაბლა წევს წინააღმდებარე ჯირკლის, მსხვილი ნაწლავის, საკვერცხების და მკერდის კიბოს წარმოქმნის რისკს. გარდა ამისა იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან. მაღლა წევს ორგანიზმის წინააღმდეგობას რადიაციული და რენდგენოლოგიური დასხივების მიმართ. გამოყოფს რადიონუკლიდებს და კანცეროგენებს ადამიანის ორგანიზმიდან.

**სუნთქვითი სისტემა:** უძველესი დროიდან გამოიყენება ფილტვის დაავადებათა სამკურნალოდ, კერძოდ ტუბერკულოზის. ნიგვზის ზეთი აძლიერებს იმუნურ სისტემას, აქტიურ გამომდინარე ამაღლებს ორგანიზმის მდგრადობას რესპირატო-

რელი დაავადებების მიმართ. სასურველია გამოვიყენოთ შემოდგომა-გაზაფხულზე, როგორც გრიპისა და გაციების პროფილაქტიკური საშუალება.

**მხედველობისა და სმენის ორგანო:** ნიგვზის ზეთის რეაციულარელი მიღება აუმჯობესებს მხედველობას. ის გამოიყენება ოტიტის დროს.

**საყრდენ – მამოძრავებელი სისტემა:** ნიგვზის ზეთი ეფექტური საშუალებაა ართრიტების და ართროზების პროფილაქტიკისათვის. ამ ზეთის კომპონენტები არეაციულირებს სასახსრე სითხის სტრუქტურას.

**კანის დაავადებები:** ნიგვზის ზეთი გამოიყენება კანის ნებისმიერი ანთებითი დაავადებების დროს. ის აჩქარებს ჭრილობების, ნახეთქების, დამწვრობების შეხორცებას. გამოიყენება ფსორიაზის, ეგზემის, ფურუნჯულოზის დროს.

ნიგვზის ზეთი, ასევე რეკომენდებულია ფენმიმეთათვის, რადგან მასში შემავალი კომპონენტები მონაწილეობენ ნაეოფის ნერვული უჯრედების ჩამოყალიბებაში. მემუტურ დედებში აძლიერებს ლაქტაციის პროცესს, აუმჯობესებს დედის რძის კვებით დირებულებას.

ეს უნიკალური ზეთი საჭიროა ბავშვებისათვის, რადგან ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ და სქესობრივ სრულფასოვან განვითარებას. განსაკუთრებით სასურველია მისი მიღება მოზარდებისათვის.

როგორც მაღალი კვებითი დირებულების პროდუქტი, ის აუცილებლად უნდა იქნეს ჩართული ოპერაციის შემდგომ, რეაბილიტაციის პერიოდში ავადმყოფთა რაციონში.

ნიგვზის ზეთი წვავს ცხიმებს. არეაციულირებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ორგანიზმის გაახალგაზრდავებას.

ნიგვზის ზეთი შეიცავს A, E, C, B ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენის, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს). აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის.

ნიგვზის ზეთის მიღების უკუჩვენებები: ნიგვზის ზეთი – პიპოალერგიული პროდუქტია, მაგრამ ინ-

დივიდუალური აუტანლობის შემთხვევაში მისი მიღება უნდა შევწყვიტოთ. არ შეიძლება მისი მიღება აგრეთვე მოწამვლის, დებინების, მაღალი ტემპერეტურის, ეროზიული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, დაბალი მჟავიანობის დროს. ამ დიაგნოზებით დაავადებულმა ადამიანებმა ნიგვზის ზეთის მიღების წინ უნდა გაიარონ კონსულტაცია ექიმთან.

**„იადიგარ დაუდის“ 1932 წლის გამოცემაში აღნიშნულია,** რომ ნიგვზი „... მხედვალი და ხმელია, ვინცა ესე ნიგვზი წმიდად დანაყოს და კაცები რომე სევდის სიმსივნე ჰქონდეს სიმსივნეზედა დაადგას, ან ამ ნიგვზისა ზეთი შესცხონ სიმსივნეს უსათუოდ უშველის ძალითა დოისათა ...“

ფილენჯის ქარის ქორეას (Chorea) სამკურნალოდ რეკომენდაცია აქვს გაწეული ნიგვზის ზეთს – „... ნიგვზისა, ნაჟვისა, და წიფლის ზეთების ჭამა, და მტკივანისა ალაგსა შეცება, ფილანჯისა და ყოვლის ფერის ფილანჯის ქარისათვის, მწოვედ კარგი არის, რომე ცალი კერძო მხარი და ბარკალი შეგტაცოს, და თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის ...“.

იგივე გამოცემაში ვკითხულობთ საუბარია ზეთების გამოყენებაზე ყურის ტკიფილის დროს: „... ვინცა მწარის ნუშის ზეთი, ან ტებილის ნუშის ზეთი, ან ნიგვზის ზეთი, და ან ჭერმის კურკის ზეთი, და ან აყიროსა, ან იისა ლულუფისა, და ან ვარდის ზეთი, ამ ზეთებშიგა რომელიც იყოს გაათებეთ და კაცსა თბილი ყურშიგა ჩააწვეთეთ, და ყურის ტკიფილსა ყუელა უშველის, და ბუილსა და ყუილსა ყველას გაუგდება...“

ხოლო ჭიის დასაყრელ წამლად მითითებულია რამდენიმე მცენარეთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად გათვალისწინებულია ნიგვზის ზეთი – „... აწე თასანუჯი, ემთოლას, წამლები ის არის, რომე როცა წამლები ფილენჯისა და ფილენჯის ქარზედა დაგვიწერია, ისივ წამლები

ამავ თასანუჯი, ემთილას, უნდა უყოთ. და მუდამ თავსა და გულზედა უქსტის ერბო, სუზაბის ერბო, ნიგუზისა და ნაუგის ზეთი, წიფლის ზეთი გამოჰქადონ, გაათბონ და შესცხონ, და დანაყილი მარილი, უზანდუხის ან თესლი ან ფოჩი საჯშიგა ესეები მოხალონ და მწოედ გააცხელონ, და ერთსა სამოსლისა ნაჭერშიგა ჩაყარონ და თბილ თბილი გულსა და სტომაქზედა დაადგან...“

ღვიძლისა და თირკმელის ტკიფილების დროს – „... აწე ამა სენისა წამალი ეს არის რომელ მხურვალის ზეთებითა ცეცხლის პირსა თირკმლის ალაგები კარგად დაიზილოს, და კარგად ცეცხლი იმცხუნვარონ, რომელ ქარი და სიცივე გააგდოს და თრიქმელსა

ძალი მისცეს. ასფურის თესლის ზეთითა, ვითამცა და იფნის ხის თესლის ზეთითამ ან ნიგუზის ზეთითა, ან ნაუგისა და ინდაურის ნიგვზის ზეთითა, ან ნუშის ზეთითა, ან წიფლის ზეთითა, და ან მართლის ერბოთა ან თხილისა ან ზეთის ხილის ზეთითა, ან სელისა და ან უქსტის ზეთითა, ან ქათმისა ან იხვისა და ან ბატის ქონითა შეიქმნონ და კიდევა ჭამონ.

საერთო სისუსტის და ცხვირიდან სისხლდენის დროს და „... უერბოვო ციფი დო ასუან და კიტრი საზამთრო და ნიგოზი ბევრი აჭამონ ... ცხვირშიგა ის ზეთი ჩააწვეთონ და თავზედა აყიროს ზეთი შემოსცხონ ...“

### 3. გოგრის (ლათ. Cucurbita) თესლი



გოგრის 13 სახეობიდან ფართოდაა კულტივირებული ერთწლოვანი 3 სახეობა: მსხვილნაყოფა ანუ გიგანტური გოგრა, რომლისგანაც გამოყვანილია სუფრის, საკვები და დეკორატიული ჯიშები — თეთრი თაფლა 611, მსხვილნაყოფა 1 და სხვა; მაგარკანიანი ანუ ჩვეულებრივი გოგრა (ხოკერა, საქართველოში ძველთაგანვეა გავრცელებული).

თესლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვითალოა, გოგრის ძირითად ღირსებად მიიჩნევა კაროტინისა და ვიტამინების დიდი რაოდენობა. ამ ბოსტეულის რბილობი ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით D ვიტამინს. ბავშვებისთვის ის განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან ანქარებს ზრდას,

ხოლო მოზრდილებში აუმჯობესებს კალციუმის შეწოვას, ამაგრებს ძვლებს და კბილებს, გარდა ამისა, გოგრაში არის B, C, D, PP, E ჯგუფის ვიტამინები. ანელებს დაბერების პროცესს და ეხმარება ადამიანს ოპტიმალური წონისა და სენსუალური აქტიურობის ნორმის ფარგლებში შენარჩუნებაში. ისევე, როგორც ყველა ნარინჯისფერი ნაყოფი, გოგრაც ანტიდეპრესანტად მიიჩნევა.

მაყალიბის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, გოგრას საქართველოში შემდეგი დასახელებით იცნობენ: ინგ. გუგრაა; იმ., რჭ. ლჩე.კვახი; გურ.აჭარ. ხაპი; აყირო; ჭნ. კაიში, ყოყორვა ფელი; მგრ. კოპეშია; სვნ. კვახნეს, კოპეშია.

გოგრა ყელიანი ნ. აყირო - აყირო ყელიანი გოგრა (*legenaria vulgaris* Ser) კბ. წყლის გოგრა გრ. კბ. თათრული გოგრა; თშ. კოკოშია.

გოგრა თაფლა ნ. თაფლა - გოგრა. თაფლა-გოგრა (*Cucurbita moschata* D u c h e s n e). კბ. თაფლა - გოგრა.

გოგრა თეთრი ნ. მსხვილი გოგრა. მსხვილი გოგრა, თეთრი გოგრა (*Cucurbita maxima* Duch). მც. ქესტანა; ქვ. იმ. თეთრი კვახი; გურ. ბამბის ხაპი; მგრ. ჩქინობურა კოპეშია.

გოგრა მეჭეჭიანი ნ. მეჭეჭიანი გოგრა. მეჭეჭიანი გოგრა (*Cucurbita verrucosa* L). კბ. ხორქლიანი გოგრა, მუწუკიანი გოგრა; თშ. კეტრიანი გოგრა; ზმ. იმ. კვახევერცხა; მგრ. ხოკორია, ტკიანი კოპეშია, ბუსკულამი კოპეშია.

გოგრა ხოკერა ნ. ხოკერა გოგრა. ხოკერა-გოგრა (*Cucurbita pepo* L). კბ. ქერჭა - გოგრა, ხაკარა გოგრა; იმ. ხოკერა, ხოკორა - კვახი, შავევახა; გურ. ხაპერაი; ჭნ. ხოპერაში; მგრ. ხოკორია - კოპეშია, ხოკო.

**გოგრის თესლისაგან ხდიან საჭმელ ზეთს.**  
სამკურნალოდ გამოიყენება რბილობი და თესლი. რბილობი შეიცავს პექტინებს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედისს, ორგანულ მჟავეებს, კაროტინს; კალიუმის, მაგნიზმის, რკინის მარილებს, შაქრებს, ფიტოსტერინებს, ვიტამინებს. თესლში არის ფიტოსტერინები, ორგანული მჟავები, ფიტები, ვიტამინები.

გოგრის რბილობს გააჩნია ნაღველმდენი, დამარბილებელი, ანთების საწინააღმდეგო და შარდ-მდენი თვისებები; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. თესლი გამოიყენება ჭიის დასადენად. გოგრას იყენებენ ანემიის, ტუბერკულოზის, სიყვითლის, ჰიპოტონიის, ნევროზის, ნიკრისის ქარის, ქოლეცისტიზის სამკურნალოდ. იგი მდიდარია დასუსტებელი და თვალებისთვის აუცილებელი კერატინით.

ხალხურ მედიცინაში გოგრისგან გამოხდილ წენები იყენებენ თირკმელებისა და დვიძლის და-ავადების დროს.

**აყირო, ყელიანი გოგრა** *L. Lagenaria vulgaris* Ser.



კახური – წყლის გოგრა; გარეკახური – თათრული გოგრა; თუშური – კოკოშა; იმერული – კვატურა; რაჭული, ლეჩხუმური, ზემოიმერული – მწარე კვახი, სარწყულა კვახი; მთისრაჭული – ხრიკა, ხრიკას კვახი; გურული – მწარე ხაპი; აჭარული – კოში; ინგილოური – კოტოში; ჭანური – კარპალა, კოკოხა, ჭურა; მეგრული – კოლოჭურა, ჭურა, ტუტლა, ჭურაში კოპეშია; სვანური – ტუტვირ; რაფიელ ერისთავი – ყარყარა კვახი.

**Synonym:** გოგრა თათრული, გოგრა წყლისა, კოში, კოტოში, კოკოშა, კვატურა, კვახი მწარე, კვახი სარწყულა, კვახი ყარყარა, მწარე კვახი, მწარე ხაპი, თათრული გოგრა, სარწყულა კვახი,

წყლის გოგრა, ხაპი მწარე, ხრიკა, ხრიკას კვახი, ყარყარა კვახი.

**აყიროს გამოყენება ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით.** სამკურნალოდ გამოიყენება მისი ოქსლი და რბილობი. იადიგარ დაუდიში მითითებულია, რომ მოხარშული და დანაყული აყიროს ნაყენი არჩენს „სტომაქის სიცხეს და სიმხურვალეს“ ყურის ტკივილს, შეკრულობას, სიმსივნეს სხეულზე, ციებას, ცხელებას, თავის ტკივილს, ხველას... (გვ. 165; 232). . . . „აყირო გრილი და ნედლი არის საფარას გააცემდებს, სისხლისა სიმხურვალესა დაავსებს, ძველის ხველისთვის მწოედ კარგი არის, სიცხისა და სიმხურვალისათვის მწოედ კარგი არის, კაცსა რომე, ან ეს აყირო მოხარშოთ (ხელით ჩამატებული) და აჭამოთ და ან დანაყოთ და ამისის გულის წყალი ასვათ, გულისა და სტომაქის სიმხურვალესა და სიცხესა მაშინვე მავნეს გაუგდებს, კაცსა ქმლსა და მკერდსა დაულბობს. კაცსა რომე სიმხურვალითა ყური სტკიოდეს და ამა აყიროს წვენი გამოჰადოს და ყურშიგა ჩაიწვეთოს, მაშინვე ყურის ტკივილს უშველის, კაცსა მუცელშიგა შვერავს და კაცისა სტომაქშიგან ფიცხლად დადნების. კაცმან რომე ნედლი აყირო ცეცხლშიგა ჩაფლას და კარგად შეიწვას ამოიღოს და ამისი წყალი გამოჰადოს, გააციოს, შაქარი ურიოს და სუას, ყოვლის ფერის მხურვლის სენის წამალი და აქმი არის. ცხელებისა, სნებისა, იარაყანისა და მხურვლის ხაფაყანისა. მაგრა ბევრი ამა აყიროს ჭამა ბევრს ფერსა ხილთებსა აშლის, ბალდამსა გააძალიანებს წელებსა და ფაშვებსა აწყენს და სტომაქსა აშლის. თუ კაცი ან შიგნით, ან გარეთ გასივდეს მოიგანე ნედლის აყირო დანაყეთ, წვენი ასვით და ტლედ სიმსივნეზედა დასდევით და მაშინვე უშველის.

ვინცა აყიროს წვენი და ღვინო ერთგან გარიოს

და სუას მაშინვე მუცელშიგა გახსნის. თუ აყირომ კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ნაწყენის გამ-ქარვებელი მდოგვი, პილპილი, მხურვალი მაჯუნები და კევითა იქნების.

ამაგ აყიროს ერბო, გრილი და ნედლი არის, კაცსა ტყინსა და დამაღსა დაულბობს და მალინელიას სენისათვის და სარსამისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე ესე აყიროს ზეთი ცხვირშიგა ჩაიწვეთონ. კიდევე ესე აყიროს ერბო ცხარსა ძმარშიგან გაურიონ წამოადულონ (ჩამატებულია ხელით) და სიმხურვალითა მტკივანს თავზედა შემოსცხონ, მაშანვე თავის ტკივილს უშველის და კაცსა ძილად მიაგდებს და ტკბილად დაგძინების, და კაცსა რომე დამაღი სისმელითა გაუხმებს, და ყელი და ხახა გაუშრებს და ამა აყიროს ერბოსაგან ცხეურშიგა ჩაიწვეთონ და ცხეურშედაცა დასცხონ, და ორივ ყურები ამა აყიროს ერბოშიგა უნდა ედვას, უსათუოდ დამაღი გაუნედლდების, და ყელი და ხახაცა უსათიოდ დაულბების და კაცი მორჩების. (ამ ფურცლის გვერდის აშიაზე სწერია დედნის ხელით „ამის ზეთს ერბოპეჭვიან“

თომემაქანისა, კიტრისა და აყიროს თესლები დანაყონ, და ამათი ლუბაი გამოჰადონ და ასვან. საზამთროსა, შუმხიარისა და ქსნის თესლი ამავრიგად ასვან, და თუ შაქარი იყოს უშაქროდ ასვან, და ნედლი აყირო ცომშიგა ჩადვან და ცხელს ნაცარშიგა ჩაფლან, რომე კარგად შეიწვას, მერმე გამოიღონ წყალი გამოჰადონ, გააციონ, შაქარი ურიონ და ასვან, ყოვლის მხურვლის სენისწამალი არის.

ვინცა აყიროს ზეთი ცხვირსა და ყურშიგა ჩაიწვეთოს, და ან ხშირად უსუნოს, თავის ტკივილი ეშველოს უსათიოდ და დამაღი და ტვინი გაუნელდოს. ან ვინცა ესევ ერბო ძმრით გააყენოს და წამოადულოს, და თავსა და საფეთქლებზედა შეიც-

ხოს თუ თავი ან საფრისა, და ან სისხლისა და ან სხვის სიმბიურვალისაგან სტკიოდეს, უსათოოდ თავის ტკივილი ეშველოს, და ტკბილად დაიძინოს.

კიდევ ვისცა დამაღი გაუქმეს, და ან ყელი და ხახა გაუშრეს, მოიტანე ესე აყიროს ზეთი და ორსავე ცხვირშიგა ააწერე, და ცხვირზედაცა შეუხვი, და ორივე ფურები ერთსა უამამდისინ, ამა აყიროსა ზეთშიგა ჩაუდევ, და უსათოოდ დამაღი გაუქნელდების, და ყელი და ხახა გაუქნელდების და დაულებების.

და თუ ამა ავად მყოფსა ძილი არ მოუკიდოდეს, ცხვირშიგა ის ზეთი ჩააწერონ და თავზედა აყიროს ერბო შემოსცხონ ან ისევ ის ერბო შემოსცხონ, და ხელი და ფეხი კარგად დაუზილონ.

თავზედა აყიროსა, ან ისა და ან ლულუფრის ერბო შეიცხონ. თავის ტკივილს უსათუოდ უშველის.

გველისა და მოერიელის ნაკბენის შემთხვევაში ურჩევენ... მოიტანე ერთი მომცრო პირ მოჭრილი აყირო და ამა აყიროშიგა ცოტა დაწეწილი ბამბა ჩადევ და ამა ბამბასა სანთლითა ცეცხლი მოუკიდე და ნაკბენზედა დაადევ კოტოშსავითა მოუჭირებს და მოეკიდების, და როდისცა მწოვედ მოკიდოს, ძალად უნდა მოგლიჯონ და შხამსა უკან უპმოაბრუნვებს და გამოიდებს..."

**4. ნესვის (Cucumis melo) თესლი – საქართველოში ნესვი დიდი ხანია ცნობილია. კულტურაში უმეტესად სუფრის ნესვია გავრცელებული. ნესვის თესლი ბრტყელი, კვერცხისებური და წაგრძელებულია.**

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, ნესვს საქართველოში იცნობენ შემდეგი სახელით; ნესვი (Melo sativus Sageret) (= Cucumis melo L. var. cultus Kurz.) ინგ. ნეს; ჭნ. კავნი; მარ., სვნ. შინკა.

**ნესვის თესლი –** პოტენციის ასამაღლებელი უძველესი საშუალებაა. ამ მიზნით უმი თესლის დაღვტვაა რეკომენდებული, უმჯობესია, თაფლთან ერთად და აუცილებლად ზომიერების დაცვით – არა უმეტეს დღეში თრი გრამისა.

ნესვის თესლი მდიდარია თუთიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდგომარეობას. საკმარისია, დღეში 2-5 გრამი ახალი თესლის მიღება (შეიძლება თაფლთან ერთადაც), რომ გარეგნობა შესამჩნევად გაგვიუმჯობესდეს.

**ნესვზე იაღიგარ დაუდიში გეითხულობთ ასეთ მითითებას;**

... „ასრე კაცმან პირველ ის წინა ხილები ჭამოს და ამას უკან ესეები ჭამონ. და რა ნესუი ჭამონ, ნესტუან სხვა ხილი და საჭმელი აღარა ჭამონ. ამისთვის რომე რასაც საჭმელთანა ნესუსა სჭამ, იმა ყოველსა საჭმელსა წაახდენს.

კაცსა რომე შარდი სწვეოდეს, და ან შარდი გასძიოდეს, იმას დაუჭირავს და უშველის. და ვინცა თრი დრიპამი ნესვის თესლი გამოარჩიოს და ჭამოს, კაცსა კარგად შეერგების, გულსა და სტომაქსა გაუთბობს და ბევრს თესლს ჩაუყენებს.

თუ კაცსა შარდი დაჭირული ჰქონდეს, მოიტანე ცერეცო და წყლით მოადულონ, და ცოტა ის წყალიცა გაურიონ და ზომიერი თაფლი ჩააგდონ, მოადულონ და კიტრისა და ნესვის თესლები დანაყონ და წყალი გამოჰქინდონ, და ესეც ამა ცერეცოს წყალშიგა ჩაურიონ, მოადულონ, ყავამზედა მოიყვანონ და სვან. ესე შარბათი ამა სენისათვის მწვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის. მაგრა ესე შარბათი და წამლები მწოვედ ცხელი არ უნდა სვან, თვარამდა ესე იცოდით, მწოვედ შარდსა უფრო შეხუთავს.

ციებ ცხელების დროს საჭმელი ცოტა აჭამონ და ყველასა დაწოლის დროსა კიტრისა, ნესვისა, შემხიარისა და ქასნის თესლის გულები დანაყონ, და ამათი რძე გამოჰქინდონ, და სიქანჯუბინშიგა გაურიონ და ასვან, და გულსა და სტომაქზედა ცივი ვარდის ერბო გარდაკრან".

გველისა და მორიელის ნაკბენზე სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ნახსენებია ნესვის ზეთი. ნესვის ზეთის ბაზაზე დამზადებული მაღამო... “ვინცა თეთრის ნესვის თესლი ან გული დანაყოს და ამისი წვენი ასვას და ნაკბენზედაცა დასცხოს ყოვლის მძრომლისა, ნაკბენისა, თერიაფი და გამქარვებული არის”.

### დასკნა

ამრიგად, ჩვეულებრივი კაკლის (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) ნაყოფების, გოგრის (*Cucurbita*) და ნესვის (*Cucumis melo*) თესლების სამკურნალო მნიშვნელობა საინტერესოდ დასტურდება ქართული ლიტერატურული წყაროებით; ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ისტორიულ წყაროებში და კარაბადინებში მოტანილ მასალებს.

როგორც ირკვევა:

ა) ნესვის თესლი – პოტენციის ასამაღლებელი უძველესი საშუალებაა, ის მდიდარია თუთით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდგომარეობას; გველისა და მორიელის ნაკბენზე სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ნახსენებია

ნესვის ზეთი. ნესვის ზეთის ბაზაზე დამზადებული მაღამო;

ბ) გოგრის თესლი – არის ძლიერი ჰეპატოპოლიტიკური, მისი ზეთი იცავს დვიძლს და ნაღვლის ბუშტს ქვების დაგროვებისგან; ის იცავს დვიძლს და ნაღვლის ბუშტს ქვების დაგროვებისგან და აუმჯობესებს დვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მუშაობას;

გ) ნიგგზის ნაყოფი და ზეთი – რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, გულ-სისხლ-ძარღვთა და ენდოკრინული სისტემების, ნერვული სისტემის და თავის ტვინის დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის;

დ) თხილის კულტურა – თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით დიდ ინტერესს იწვევდა და დღუსაც უურადღების ცენტრშია, რასაც უპირველეს ყოვლისა განაპირობებს მისი ნაყოფის მრავალმხრივი გამოყენება. როგორც ქართულ, ასევე ძველბერძნულ ხალხურ მედიცინაში თხილის ზეთით მკურნალობა ცნობილია ანემის, ეპილეფსიის, თმის ცვენის, სხვადასხვა დაავადების დროს, თხილის ნაყოფის საბურველის (ჩენჩოს) ნახარშს სვამენ მოჭარბებული სიმსუქნის დროს, ფოთლების ნახარში კი ასუფთავებს სისხლს და მიმართავენ ათეროსკლეროზის და კენჭოვანი დავადებების სამკურნალოდ.

### ლიტერატურა

1. Lisitsyn A. N., Klyuchkin V. V., Paronyan V.Kh. Fat and oil industry / Monograph "Food industry in Russia in a market economy". Pishchepromizdat. Moscow. 2002. (in Russian).
2. Gelovani N., Tsintsadze T., Tsikarishvili Kh., Gvelesiani I., Targamadze L. The culture of Melon (CUCUMIS - MELO) in Georgian historical sources. Georgian chemical journal. Vol. 11, (4). 2011, 469-471 pp. (in Georgian).
3. Skhiladze R., Gelovani N., Tsikarishvili Kh. Drug technology. "Saunje". Tbilisi. 2009 (in Georgian).
4. Skhiladze R., Gelovani N., Tsikarishvili Kh. The origins of drug technology. "Saunje". Tbilisi. 2009 (in Georgian).
5. Ioseliani D. Encyclopedia of folk Medicine. Tbilisi. 2003, 240 pp. (in Georgian).
6. Kheteshvili S. Health treasure. "Khelovneba". Tbilisi. 2008 (in Georgian).
7. Gogichadze G., Kandelaki G., Gogichadze T. Dictionary of biological and medical terms and concepts. "Meridian". Tbilisi. 2011, 442 pp. (in Georgian).
8. Bagrationi D. Iadigar Daudi. 16th-century medical encyclopedia. Edit. Elerdashvili A. "Fantazia". Tb., 2006 (in Georgian).

UDC 613.26

SCOPUS CODE 3002

## THE MEDICINAL VALUE OF JUGLANS REGIA AND CORYLUS YIELDS, CUCURBITA AND CUCUMIS MELO SEEDS ACCORDING TO GEORGIAN FOLK SOURCES

**G. Pataridze** Department of Chemical Technology and Biotechnology, 68<sup>a</sup> M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia

E-mail: gigapataridze7@gmail.com

**N. Gelovani** Department of Chemical Technology and Biotechnology, 68<sup>a</sup> M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia

E-mail: n.gelovani@gtu.ge

**M. Maisuradze** Department of Chemical Technology and Biotechnology, 68<sup>a</sup> M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia

E-mail: m\_maisuradze@gtu.ge

### Reviewers:

**T. Gigošvili**, Associate Professor, Department of Pharmacy, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU  
E-mail: t.gigošvili@gtu.ge

**Kh. Tsikarishvili**, Associate Professor, Department of Pharmacy, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU  
E-mail: kh.tsikarishvili@gtu.ge

**ABSTRACT.** A large number of plants used in folk medicine requires a number of appropriate scientific researches to determine the content of biologically active substances in them, the area of their distribution, natural resources and production capabilities.

From the plants we have selected: 1. the hazelnut (*Corylus*), 2. the usual walnut (nut, *Juglans Regia*), 3. *Cucurbita* seeds, 4. *Cucumis Melo* seeds.

Hazelnut oil is used in food, technical and perfume products. Flour from dry hazelnut nuts makes flour, which is used for baby food products.

The oil of walnut (*Juglans Regia*) contains vitamins A, E, C, B, micro- and macronutrients (zinc, copper, calcium, magnesium, iron, phosphorus). This product is indispensable to the elderly.

There were many pumpkin names used in Georgia: pumpkin, kwah, hapi and akiro. The pumpkin flesh and seeds are used medicinally. Seeds contain phytosterols, organic acids, resins, vitamins.

The health properties of these plants are mentioned in medical monograph “Iadigar Daudi”.

Melon seeds are rich in zinc, which means that it is used as a medicine to improve the condition of hair and skin.

**KEY WORDS:** *Corylus*; *Cucurbita* and *Cucumis Melo* seeds; *Juglans Regia*; natural resources.

UDC 613.26

SCOPUS CODE 3002

## МЕДИЦИНСКАЯ ЦЕННОСТЬ ПЛОДОВ: ГРЕЦКОГО ОРЕХА (*JUGLANS REGIA*), ФУНДУКА (*CORYLUS*), СЕМЯН ТЫКВЫ (*CUCURBITA*) И ДЫНИ (*CUCUMIS MELO*) В СООТВЕТСТВИИ С ГРУЗИНСКИМИ НАРОДНЫМИ ИСТОЧНИКАМИ

- Патаридзе Г.Г.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: gigapataridze7@gmail.com
- Геловани Н.Дж.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: n.gelovani@gtu.ge
- Майсурадзе М.Г.** Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: m\_maisuradze@gtu.ge

### Рецензенты:

**Т. Гигошвили**, ассоциированный профессор Департамента фармации факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: t.gigoshvili@gtu.ge

**Х. Цикаришвили**, ассоциированный профессор Департамента фармации факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: kh.tsikarishvili@gtu.ge

**АННОТАЦИЯ.** Большое количество растений, используемых в народной медицине, требует от них ряда научных исследований. Чтобы определить содержание в них биологически активных веществ, территории их распространения, природных ресурсов и производственных возможностей, из растений мы выбрали: плоды: 1. грецкого ореха (*Juglans regia*) и 2. фундука (*Corylus*), семена 3. тыквы (*Cucurbita*) и 4. дыни (*Cucumis melo*).

Масло фундука используется в пищевых, технических и парфюмерных продуктах. Из сухих орехов фундука делают муку, которая используется для продуктов детского питания.

Масло грецкого ореха (*Juglans regia*) содержит витамины A, E, C, B, микро- и макроэлементы (цинк, медь, кальций, магний, железо, фосфор). Этот продукт незаменим для пожилых людей.

В Грузии было много названий тыквы: тыква, квах, хапи и акиро. Используются для лечения мякоть и семена тыквы.

В лечебных целях используются семена и мякоть тыквы. В древней книге Ядгара Дауди указано о полезных свойствах этих растений.

Семена дыни богаты цинком, это означает, что они используются в качестве лекарственного средства для улучшения состояния волос и кожи.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** грецкий орех;природный ресурс; семена тыквы; фундук.

განხილული თარიღი 03.07.2017

შემოხვევლის თარიღი 03.03.2018

ბეჭდოვნების დასაბუღავი 05.06..2018

UDC 615.038

SCOPUS CODE 3005

## NEW ADAPTOGENIC PREPARATION

R. Melkadze

Department of Food Industry, Georgian Technical University, 68a M. Kostava str, 0175  
Tbilisi, Georgia  
E-mail: remeisi@mail.ru

### Reviewers:

L. Gulua, Doctor of Biological Sciences, Agricultural University of Georgia, Kakha Bendukidze University Campus  
E-mail: l.gulua@agruni.edu.ge

T. Megrelidze, Professor, Department of Food Industry, Faculty of Transportation and Mechanical Engineering , GTU  
E-mail: tmegrelidze@yahoo.com

**ABSTRACT.** Results of the study of new adaptogenic preparation (further "AP") convincingly demonstrate that it has property to raise resistance of an organism to stress, physical load, a poisoning by hypoxic poisons, to oxygen starvation, overheating and effect of bacterial endotoxine in the range of doses of 1-10 ml/kg.

The most remarkable of these effects - adaptogenic action at long immobilized stress which causes a pronounced triad of Selye in the majority of control animals – a hypertrophy of bark of adrenal glands and decrease in contents of an ascorbic acid (an attribute of the increased secretion of glucocorticoids), involution of timiko-lymphatic system and evident gastric mucosa. The "AP" in such conditions provides essential easing of metabolic and organ displays of stress that demonstrates the increase of nonspecific resistance of an organism and decrease under influence of BS alarm - reactions to injuring influences.

Another remarkable effect of "AP" – its adaptogenic action at daily physical overloads which at the majority of control animals is rather quickly led to overfatigue and full physical disability. In these conditions "AP" provides not only preservation, but also a gain of working capacity during daily work up to full exhaustion, thus extending the period of an efficient operational condition of animals.

As all models of overloads used here, intoxications and hypoxic states characterize endurance of an organism in general and his main life support systems - biopower processes, functional stability of a brain and intimate -

vascular systems, the received results give the basis to conclude, that "AP" adaptogenic means, capable to raise the general nonspecific resistance of an organism to influence of various factors causing frustration of a homeostasis.

The "AP" shows moderately expressed immunomodulatory properties - stimulates T-dependent B-cells proliferation and raises functional activity of phagocytes in the range of doses of 1-10 ml/kg.

Because of the high immunomodulatory properties, "AP" as a natural herb product, can actually increase the resistance and adaptive capacity of an organism.

**KEY WORDS:** Adaptogenic preparation; hypoxia; immunomodulation; resistance.

## INTRODUCTION

The problem of creation of active adaptogens is not easy, but the experience gained in this field indicates that the performance-enhancing non-specific resistance of the organism and vitality have a lot of substances and products of multi-component composition. Severe biological activity of the family of Araliaceae plant extracts (Ginseng, Golden Root, Eleutherococcus, Aralia Manchurian et al.) is well known in folk and traditional medicine, representing the basis of many herbal remedies and drugs - adaptogens, neurostimulators, immunomodulators, providing versatile healing act.

Return to plant sources of extremely valuable biologically active substances - adaptogens and homeostasis correctors, is justified in connection with the emergence of large-scale environmental problems affecting large masses of the population. Since such drugs are intended primarily for permanent and mass use, they should be close in nature to nutritional supplements with healing properties. That is why biological products may be preferred for these purposes more than synthetic substances.

The "AP" considered in this article represents water-alcohol infusions of more than 25 spicy aromatic medicinal plants of the Alpine Caucasus of Georgia, with the addition of mountain honey and the unique red wine [1].

The development of this product is dictated by the idea to create a composition of herbs of folk medicine for a wide application as natural curative and prophylactic means with fortifying and adaptogenic properties.

The article presents the results of the study of the adaptogenic properties of the "AP" [2-11].

## MAIN PART

**Antistressful action.** It is known, that various pathological conditions and extreme influences cause the common adaptable reaction of an organism, shown by standard triad Selye - a hypertrophy of a bark of adrenal glands, involution thymic-lymphatic bodies and detection in a gastroenteric path. Pharmacological means and phytopreparations - regulators of stress (adaptogens) at preliminary introduction raise nonspecific resistibility of an organism to extreme influences and weaken reaction to stress from its humous and morphological consequences.

Experiments are carried out on 36 male rats Vistar in weight of 115-130 g, to whom intragastrically was entered "AP" in doses of 1 and 3 ml / kg. during 7 days up to stressful influences. Control rats in quality placebo received water (0.3 ml / 100 g), and the biological control - only water and stress was not exposed.

Stress caused rigid fixing of rats on a back for 24 hours. After expiry of the term of fixing of animals hammered decapitation, took and weighed adrenal glands, thymus, a spleen. In adrenal glands determined the maintenance of an ascorbic acid - one of the most sensitive exponents of activation of synthesis of glucocorticoids (reaction with dichlorphenolindiphenole). Macroscopicaly estimated a condition mucous a stomach and an intesting, determined the contents of sugar in blood.

**Preventive maintenance of physical overfatigue.** It is known, that excessive physical loads at regular recurrence result, as a rule, in an increasing exhaustion of physical strengths, and sometimes - to irreversible pathological changes in a cardiac muscle and in both other bodies and systems. Adaptogenes, as against neirostimulators, are mobilized such as their action (fenamine, syndocarb and means similar to them) should raise stability of an organism in conditions of such chronic overloads. In this connection for an estimation of adaptogenic properties of a concentrate, the model of regular overloads at rats - daily run on trainbass with the submaximal speed up to full exhaustion has been used.

Influence of "AP" on stability to regular physical overloads is investigated in experiments on rats under the test of high-speed endurance at run on trainbass.

The test carried out on trainbass with automatic maintenance of the set speed of movement of pathes within 0.1 m / minutes. Operating reliability is estimated on time of run up to exhaustion (at speed of 32 m / mines) as which criterion repeated landing of animals to an electrode floor and other attributes of weariness served. For experiment there were selected standardized male rats (weight 120-130 g) after their preliminary training to skills of run in trainbass at the lowered speed. The selected animals shared on equivalent control and experimental groups on 10 individuals.

"AP" entered to experimental rats in doses of 1 and 3 ml / kg intragastrically 1 hour prior to tests. Control rats received inside water in the same volume. Re-testing on serviceability carried out daily within 10 days. At every research rats received a preparation in the same doses for 1 hour before run.

**Anti-hypoxical properties.** Stability of an organism to hypoxia - one of the most integrated parameters of a functional condition of various physiological systems and biopower processes. For an establishment of effects of "AP" on resistency to hypoxia models, hypobaric and hemic hypoxia, describing various mechanisms of realization antihypoxical effect are used.

**Hemic hypoxia.** Experiences are led on female mice (CBA x C57BL) F1. Hemic hypoxia caused nitrite of sodium in a fatal doze of 300 mg / kg. A "AP" 10 and 30 ml / kg on 1 entered unitary in doses 3, hour before introduction of nitrite of sodium or repeatedly in doses of 3 and 10 ml / kg during 7 days. Antihypoxical effect estimated on a survival time of animals at a fatal poisoning.

**Hypobaric hypoxia.** Influence of "AP" on stability of mice to hypobaric hypoxia was estimated on a survival

time of animals in a rarefied atmosphere at "height" of 11 kms.

**Influence on stability to overheating.** In experiences on 20 Vistar female rats in weight 220-250 g, there was estimated influence of "AP" on reactance of cardiovascular system and breath at total convectional overheating.

Animals preliminary were adapted for conditions of measurement of arterial pressure and pulse oscillative a method on tail arteries at temperature 36°C. Thermal stress (41°C) caused a stream of heated up air in the thermal chamber at the control of temperature of a stream over accuracy 0.2°C. The "AP" was entered 1 hour prior to tests in a dose of 10 ml / kg.

**Antiendotoxic action.** Generally biological effects of endotoxine – gramme-negative lipopolysaccharide the bacteria causing heavy infectious defeats (a belly typhus, a dysentery, salmonellosis) and toxico-infections, are caused by clearing an organism from lymphocytes and macrophages endogenic citokieve – tumor necrotive factor (TNF) responsible for the majority of displays of toxic action endotoxine in an organism (frustration hemodinamical, hypercoagulation of blood, a shock and destruction of animals). It is known that adaptogenes of the vegetative and synthetic nature raise resistance to bacterial invation and endotoxine. One of possible mechanisms of this protective effect - blockade of clearing TNF, involutive endotoxine.

For an estimation of protective properties of the "AP" containing a set of effective natural adaptogenes, in experiments on mice influence of a BS on involutive endotoxine clearing TNF has been investigated.

